პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 217 (10611) | კვირა, 16 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## ძმური სალამი ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობას

დღეს პეკინში მუშაობას იწყებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა. ყრილობის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიისა და მთელი ჩინელი ხალხის ცხოვრებაში. ამასთან ერთად ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც 35 წელზე მეტი ხნის წინათ შეიქმნა, სახელოვანი გმირული გზა განვლო. დიდი ოქტომბრის იდეებით აღფრთოვანებულ მარქსიზმის მომხრეთა მცირერიცხოვანი ჯგუფიდან ჩინეთის კომუნისტური პარტია გაიზარდა მძლავრ, ათმილიონიანზე მეტ რაზმად, რომელიც მტკიცედ უდგას სათავეში თავისი ხალხის მოძრაობას სოციალიზმისაკენ.

ბევრი სიძნელე განვლეს ჩინელმა კომუნისტებმა, ვიდრე ხალხს დიად გამარჯვებამდე მიიყვანდნენ. მაგრამ სიძნელეებმა ვერ შეადრიკეს ჩინელი კომუნისტები. შეუპოვრად და მტკიცედ აწყობდნენ ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ამ ბრძოლაში მათ თავის მხარეზე მოიზიდეს ჩინეთის მთელი პატრიოტული და დემოკრატიული ძალები, დარაზმეს ისინი ერთიან ფრონტად ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუციის დროშების ქვეშ. ჩინეთის კომუნისტებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს რეაქციის ძალებზე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დააგვირგვინეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებით. ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემას. ამ ისტორიულმა გამარჯვებამ ახალი ძალები შემატა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის რიგებს, შეცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების სასარგებლოდ.

ჩინეთის კომუნისტური პარტია პირველად იკრიბება თავის ყრილობაზე ჩინეთის განთავისუფლების შემდეგ. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეშვიდე და მერვე ყრილობებს შორის დევს უდიდეს ისტორიულ ცვლილებათა ზოლი, დიად შემართებათა მთელი ეპოქა. თერთმეტი წლის წინათ, როცა პატარა ქალაქ იანიანში მიმდინარეობდა მეშვიდე პარტიული ყრილობის მუშაობა, ჩინეთის მიწა-წყალს თელავდნენ იაპონელ ოკუპანტთა ჩექმები, ჩინეთში მძვინვარებდა გომინდანელთა ტერორი, ჩინეთს არ ჰქონდა განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილი იყო. შიმშილსა და სიღატაკეში ცხოვრობდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები.

სულ სხვა ვითარებაში იკრიბება მერვე ყრილობა. ჩინეთში ლიკვიდირებულია ფეოდალიზმის, იმპერიალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის ძალთა ბატონობა. ძველი საზოგადოების ნანგრევებზე წარმოიშვა სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და რომელსაც საფუძვლად უდევს მუშათა და გლეხთა კავშირი. ხალხის დემოკრატიული დიქტატურა წარმატებით ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს. მტკიცე რწმენით მიდის ჩინელი ხალხი სოციალიზმის გზით.

ჩინელმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში. სოციალიზმის მშენებლობის იდეებით შთაგონებული ჩინელი მშრომელები უმაგალითო აღმავლობით მუშაობენ, იბრძვიან სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. კოლექტიურ შრომაზე გლეხთა მასების გადასვლის პროგრამა, რომელიც ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა და რომელშიც შემოქმედებითად გამოყენებულია სოფლის მეურნეობის კოოპერირების ლენინური იდეები, პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ჩინური სოფლის თავისებურებებს, ძირითადად შესრულებულია. ჩინელ გლეხთა უდიდესი მასა ახლა შრომობს სხვადასხვა ტიპის კოოპერაციულ მეურნეობებში და აშენებს ახალ ცხოვრებას.

სახალხო სახელმწიფო თანდათანობით გარდაქმნის კერძოკაპიტალისტურ საწარმოებს სოციალისტურ საწარმოებად. ჩინეთში კაპიტალისტური ექსპლოატაციის ლიკვიდაციისათვის მშვიდობიანი მეთოდების გამოყენება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ განმტკიცდა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სახელმწიფო ხელისუფლება, განუხრელად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა, ძლიერდება ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტი, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს ეროვნული ბურჟუაზიის მონაწილეობით, აგრეთვე იმის მეოხებით, რომ არის ისეთი ხელსაყრელი ფაქტორები, როგორიც სოციალიზმის მძლავრი საერთაშორისო ბანაკის არსებობაა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მძლავრი ფაქტორია მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად იგი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ყველა საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

ჯერ კიდევ ცოტა სიძნელე როდია ჩინეთში სოციალიზმის მშენებელთა გზაზე, მაგრამ მათი საქმე იმით ადვილდება, რომ ჩინეთის სახელოვანი კომუნისტური პარტია შეიარაღებულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გამოცდილებით, რომელიც მან უკვე შეიძინა, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილებით.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულმა ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ძმური მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის მტკიცე კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან. მიზნების ერთიანობა, იდეების ერთობა ანათესავებს ჩინეთის კომუნისტებს საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების კომუნისტებთან. იმპერიალისტების ცდები, რომ განხეთქილება შეიტანონ მოძმე პარტიებს შორის, შუღლი დათესონ მათ შორის, ისევე უბადრუკი და ამაოა, როგორც უბადრუკი და ამაოა მუმლის ცდები შეარყიოს მძლავრი მუხა.

ჩინეთის კომუნისტური პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ყოვლისშემძლე დროშის ერთგული იყო და არის. მარქსისტულ-ლენინური იდეების სიწმინდეს ჩინეთის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ იცავდა თავისი გზის მთელ მანძილზე, გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა დოგმატიზმის, სუბიექტივიზმის, ფორმალიზმის წინააღმდეგ, მტკიცედ იბრძოდა რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი დამუშავებისათვის ჩინეთის კონკრეტულ ვითარებასთან შეხამებით.

თავის მერვე ყრილობას ჩინეთის კომპარტია ხვდება ერთიანი და თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო დარაზმული. პარტიის მტრების მრავალი ცდა დაერღვიათ პარტიის რიგების დარაზმულობა, გაცამტვერებულია. კიდევ უფრო განმტკიცდა პარტიის ფოლადისებური ერთიანობა. ჩინეთის კომუნისტებმა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავიანთი რიგები მებრძოლი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ჩინელი კომუნისტების ძალაა მათი განუყრელი კავშირი ხალხის მასებთან, რომლებიც უსაზღვროდ ენდობიან თავიანთ პარტიას. პარტია მუდამ ასწავლის კომუნისტებს იცხოვრონ მასების საჭიროებებითა და ინტერესებით, არ მოსწყდნენ მათ, ღრმად სწავლობდნენ და განაზოგადებდნენ მუშათა და გლეხთა მასების გამოცდილებას. „შევიძინოთ მასებისაგან და მივცეთ მასებს" — პარტიის ამ გეზმა მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება ჩინეთის განთავისუფლებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე.

პარტია დაუცხრომლად განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. „ჩვენ, კომუნისტებს, — ამბობს ამხანაგი მაო ძე-დუნი, — უნდა შევეძლოს ვაკეთოთ ყოველი საქმე მასებთან მჭიდრო ერთიანობით. შეძლებენ თუ არა ჩვენი პარტიის წევრები, თუ ისინი მთელ სიცოცხლეს ისხდებიან ოთხ კედელს შუა, დაემალებიან ქარიშხლებსა და არ დაინახავენ ცხოვრებას, რაიმე სარგებლობა მოუტანონ ჩინელ ხალხს? რა თქმა უნდა, ვერ შეძლებენ. პარტიის ასეთი წევრები ჩვენ არ გვჭირდებიან. ჩვენ, კომუნისტები, უნდა მივდიოდეთ ქარიშხლების შესახვედრად, უნდა მივდიოდეთ ცხოვრებაში. ეს ქარიშხლები მასების ბრძოლის დიადი ქარიშხლებია, ეს ცხოვრება მებრძოლი მასების დიადი ცხოვრებაა".

ჩინეთის კომპარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტის განმტკიცებას, მიაჩნია რა იგი სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ ფაქტორად. მთლიანად ითვალისწინებს რა თავისი ქვეყნის თავისებურებებს და ცდილობს რა უფრო სრულად განავითაროს ერთიანი ფრონტის ყველა მონაწილეთა ინიციატივა და გამოიყენოს მათი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ დასახა კომუნისტური პარტიისა და დემოკრატიული პარტიებისა და ჯგუფების ხანგრძლივი თანაარსებობის, მათი ურთიერთ დახმარების, ურთიერთ კონტროლის, ურთიერთ კრიტიკის გეზი.

პარტიის მერვე ყრილობა იკრიბება ჩინეთის ხალხის მასების უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, მასებისა, რომლებსაც კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ საყოველთაოდ აღიარებულ ბელადად და ხელმძღვანელად.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობა რეაქციის ძალებზე გამარჯვებულთა ყრილობაა, ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ყრილობაა.

ყრილობა შეაჯამებს პარტიის ნაყოფიერი საქმიანობის შედეგებს მეშვიდე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, ყოველმხრივ განიხილავს ჩინეთში სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

სახალხო ჩინეთის წინაშე ჭეშმარიტად გრანდიოზული პერსპექტივები იხსნება. და ეჭვი არ არის, რომ დიდი ჩინელი ხალხი, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, ნაცადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებს მის წინაშე მდგომ ისტორიულ ამოცანებს. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა მოითხოვს ძალების დიდ დაძაბვას, ბევრი სიძნელისა და იმპერიალისტური რეაქციული წრეების, სოციალიზმის მშენებლობის ყველა და ყოველგვარი მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის დაძლევას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმებიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობის გახსნას და უსურვებენ მის მონაწილეებს წარმატებით და ნაყოფიერ მუშაობას ჩინელი ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

„პრავდის" 15/IX მოწინავე.

## მოგებათა ტირაჟი და დაფარვის ტირაჟი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) მოგებათა ტირაჟი გაიმართა ცხრაჯერ. 16 სექტემბერს ბაქოში გაიმართება მეათე ტირაჟი. მეორე დღეს, 17 სექტემბერს, იქვე გაიმართება ამ სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი. (საქტასი).

# საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★



## გლდანის საკოლმეურნეო ვენახებში

გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას 39 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი აქვს. ბრიგადებმა და რგოლებმა კარგად მოუარეს ვენახებს, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარეს ყველა სახის სამუშაოები.

სოფელ გლდანში ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა მშრომელი შესევია ვენახებს. ნაყოფიერი შრომის შედეგად ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მევენახეობის ბრიგადებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც გ. ფიცხელაური და ა. მაისურაძე ხელმძღვანელობენ. ისინი საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერ ყურძენს კრეფენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერისა. მერგოლეური შ. ფიცხელაური მოსავლელად მიჩენილ ვენახში საშუალოდ ჰექტარზე 110 ცენტნერ ყურძენს იღებს.

• • •

სურათზე: კოლმეურნეები ა. მეტრეველი (მარჯვნივ) და ა. ნარიმანიძე მოკრეფილ ყურძენს ყუთებში აწყობენ თბილისის საკომისიო მაღაზიებში გასაგზავნად.

ფოტო შ. გოქაძისა.

## მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია ხერსონში

ხერსონი. 14 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საოლქო ცენტრში — ქალაქ ხერსონში.

პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ელისტრატოვი მხურვალედ მიესალმა დელეგაციას, მოკლედ გააცნო ოლქის ეკონომიკა და ილაპარაკა მიღწევებზე და ამოცანებზე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში.

მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ა. თოიძემ.

დელეგაციამ დაათვალიერა ხერსონის ღირსშესანიშნაობანი, შემდეგ მის პატივსაცემად მოეწყო სამდინარო ტრამვაით გასეირნება დნეპრზე. დელეგაციამ აგრეთვე დაათვალიერა ახალი ქალაქი კახოვკა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგური. კახოვკიდან იგი დაბრუნდა გენიჩესკში.

## ხორბლის თესვა

გურჯაანი. („კომუნისტის" კორ.). სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო საშემოდგომო ხორბლის თესვა. გურჯაანის მტს-ის ტრაქტორისტმა გ. არუთინოვმა პირველ დღეს ჯვარედინად დათესა 13 ჰექტარი და ამით დღიურ ნორმას 3 ჰექტარით გადააჭარბა.

თესვას შეუდგნენ აგრეთვე სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის და სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობები. ტრაქტორისტები ა. ჩალათაშვილი და ა. ბატაშვილი მინდვრის სამუშაოთა დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

## ხალხთა დიადი მეგობრობის დროშით

## რა ვნახეთ ნიკოპოლში

ჭიათურელ ახალგაზრდა მაღაროელთა დელეგაციამ ერთი კვირა დაჰყო მოძმე უკრაინის ნიკოპოლის მარგანეცის საბადოს რაიონში. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ნიკოპოლის მარგანეცის მაღაროების, გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და მექანიკური სახელოსნოების მუშაობას, ახალ ტექნიკას, ესაუბრნენ წარმოების ნოვატორებს, ახალგაზრდებს, კომკავშირულ მუშაკებს. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ლენინის სახელობის მაღაროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. სხირტლაძემ უკრაინაში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა:

— მტკიცე და ურყევია უკრაინელ და ქართველ მაღაროელთა მეგობრობა. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი დელეგაციის ყოფნამ ნიკოპოლელ მოძმეებთან. ყველგან გულთბილ შეხვედრას გვიწყობდნენ. მეგობრულად დაგვხვდნენ უკრაინის ალყა მარგანეცის საქალაქო კომიტეტში. ქალაქკომის მდივანი ამხ. ანა სვიდორენკო და ქალაქკომის სხვა მუშაკები გვესაუბრნენ თავიანთ მუშაობაზე. შევხვდით აგრეთვე პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს, რიგითს კომკავშირელებს. ბევრი რამ საინტერესო და დასამახსოვრებელი ვუამბეთ ერთმანეთს.

პირველ დღეს დავათვალიერეთ მთავარი მექანიკური სახელოსნო. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია ჩარხმა, რომელიც სამთო გამონამუშევრის ლითონის წრიულ სეგმენტებს ამზადებს. მას ორი კაცი ემსახურება და ცვლაში 100-მდე ლითონის სეგმენტს აკეთებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ თითო სეგმენტის დამზადება იქ ხუთი მანეთი ჯდება, ჩვენთან კი, ჭიათურაში — 25 მანეთი. გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ სეგმენტების დამზადების ეს ახალი წესი.

იმავე დღეს დავათვალიერეთ ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კულტურის სასახლე, ფეხბურთის სტადიონი, კულტურისა და დასვენების პარკი, საერთო საცხოვრებლები და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი. ვოროშილოვის სახელობის მაღარო ყველაზე დიდი და მექანიზებულია, იქ შევხვდით გამოჩენილ უკრაინელ მნგრეველს ს. მაგლევანს, რომელიც ჭიათურელ ალ. ჭილაძეს ეჯიბრება. მან გვიამბო მუშაობის საკუთარი მეთოდის შესახებ, იკითხა თავისი „მეტოქე" და სალამი დაგვაბარა მასთან. ჩვენ მოვუყევით ჭიათურელი მაღაროელის ჭილაძის შრომაზე. დელეგაციის წევრმა სტალინის სახელობის მაღაროს მნგრეველმა მ. ამყოლაძემ რამდენიმე საათი იმუშავა ამხ. მაგლევანის მომნგრევი ურთით და დარწმუნდა, რომ მადნის მონგრევა ნიკოპოლში გაცილებით იოლია.

აქვე ვინახულეთ სამთო კომბაინი, რომელიც მადანს ერთდროულად ანგრევს და ტვირთავს. მაქსიმოვის სახელობის მაღაროში გავეცანით მარგანეცის საბადოს დამუშავებას ღია წესით, ლავების ფარით დამუშავების მეთოდს. ღია სამუშაოებზე კარგად იყენებენ მძლავრ მოსიარულე ექსკავატორებს.

ჩვენი დელეგაციის წევრმა მ. ამყოლაძემ ინახულა უკრაინელი მეგობარი ს. სკატოვი, რომელიც შარშან ჭიათურაში იყო, და შეჯიბრებაში ჩაება მასთან.

უკრაინაში შევხვდით აგრეთვე ახალგაზრდა ქართველ ინჟინრებს ს. ბოდოკიას (მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მთავარი მარქშეიდერი), რ. სირაძეს (მთავარი მექანიკური სახელოსნოს ტექნოლოგი) და ამხ. დოლიძეს. ისინი ჩვენთან იყვნენ მაღაროსა თუ ფაბრიკებში, კინოსა თუ თეატრში. მათ გაგვაცნეს ბევრი უკრაინელი ამხანაგი, რომლებთანაც მჭიდრო კავშირი დავამყარეთ.

ჭიათურელი ახალგაზრდები მიგვიწვიეს მეშახტის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. აქ გვესაუბრნენ პარტიის ქალაქკომის მდივნები ამხანაგები დუბოვიკი და კოპანეიცი. სხდომის მონაწილენი გულთბილად მოგვესალმნენ.

არასოდეს არ დაგვავიწყდება ნიკოპოლში გატარებული დღეები. უკრაინელმა მეგობრებმა ძმებივით მიგვიღეს და გულწრფელად გამოგვაცილეს. თანამოძმეებთან ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ და ვეცდებით გამოვიყენოთ პრაქტიკულ მუშაობაში.

### მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

## როგორ გავადიდოთ წველადობა

რვა წელია, რაც გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მწველავად ვმუშაობ. ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში საგრძნობლად იმატა მეცხოველეობის პროდუქტიულობამ. მიმდინარე სამეურნეო წლის 1 სექტემბრისათვის 363 ძროხაზე მიღებულია 4.521 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.300 ცენტნერისა. თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.477 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმიური 1.200 ლიტრისა.

პროდუქტიულობის გადიდებას ხელს უწყობს ძროხების კარგად მოწყობილი ბაგური კვება-შენახვა, კარგი, სუფთა, ნათელი ბინები. ფერმაში შრომატევადი სამუშაოები მექანიზებულია.

ფერმის მუშაკებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მე ვეჯიბრები სონია დელბაშვილს.

ჩემი მოსავლელი 10 ძროხიდან გეგმით საშუალოდ თვითეულზე სამეურნეო წელს უნდა მიმეღო 2.197 ლიტრი რძე. 1 სექტემბრისათვის უკვე მიღებული მაქვს 2.700 ლიტრი. ამჟამად ვიბრძვი იმისათვის, რომ წლის ბოლომდე საშუალოდ თვითეულ ძროხაზე წველადობა 3 ათას ლიტრამდე ავიყვანო.

როგორ ვაღწევ ამ წარმატებას?

მეწველი ძროხები დაყოფილი მყავს სამ ჯგუფად: მაღალპროდუქტიული, დაბალპროდუქტიული და „მშრალი" ძროხები. წინათ მაღალპროდუქტიულ და დაბალპროდუქტიულ ძროხებს ერთნაირად ვკვებავდი, რის გამო ნაკლებ რძეს ვიღებდი. ამ ბოლო დროს მათ სხვადასხვა რაოდენობის საკვებს ვაძლევ, ამის შემდეგ იმატა წველადობამ.

გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ წველადობის გასადიდებლად უმჯობესია ძროხები ვკვებოთ თივით, წვნიანი და მწვანე საკვებით. მარილს ვაძლევ გაალოებულ საკვებთან ერთად. ძროხას მუდამ აქვს ქვამარილი და მას ლოკავს სურვილისამებრ.

სპეციალისტებთან ერთად შედგენილია ძროხების კვების რაციონი. მაგალითად, დღეში ძროხას ვაძლევ



ნ. ტაკაშვილი.

• • •

თივას 10 კილოგრამს, ქატოს ან კოპტონს — 3, ჭარხალს — 8, სილოსს — 12 კილოგრამს.

წესად მაქვს მიღებული ძროხისათვის მრავალფეროვანი საკვების მიცემა. ამასთან ვითვალისწინებ თვითეული ძროხის მიდრეკილებას, როდის რა საკვები ურჩევნია. უმეტეს შემთხვევაში ასე ვაძლევ: ერთ დღეს დილით პირველად კონცენტრირებულ საკვებს ვაძლევ, მეორე დღეს — ჭარხალს. იმასაც ვითვალისწინებ, პირუტყვს რომელი სახის საკვები რა რაოდენობით უნდა მიეცეს.

ყურადღებას ვაქცევ შრომის სწორად მოწყობას. ზამთარში ბაგური კვების პერიოდში დილის 6-დან 7 საათამდე ვწველი ძროხებს, 7-დან 8 საათამდე ვაძლევ საჭმელს, 8-დან 9 საათამდე ვასუფთავებ ბინას, 9-დან 12 საათამდე ვამზადებ პირუტყვისათვის საჭმელს და მეორედ ვაძლევ საჭმელს, დილის 12-დან საღამოს 5 საათამდე — დასვენებაა. საღამოს 5-დან 6 საათამდე წყალს ვალევინებ, 6-დან 8 საათამდე ვწველი მეორედ, საღამოს 8 საათზე ძროხას ვკვებავ მესამეჯერ.

როცა საზაფხულო საძოვრებზე მყავს ძროხები, მაშინ დილის 6-დან 8 საათამდე ვაწარმოებ წველას, 8-დან 1 საათამდე პირუტყვი გასეირნებაზეა და ისევ საძოვარზეა. საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე ვწველი მეორედ.

დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ ძროხის წველის შეწყვეტა საჭიროა ხბოს მოგებამდე 55 დღით ადრე.

დიდ ყურადღებას ვაქცევ ძროხების წესიერ მოვლასა და კვებას. თუ ძროხები მაკეობის დროს ნორმალურად იკვებება, მაშინ ხბო ჯანსაღი იბადება და ძროხაც კარგად მოიწველის. ამიტომ მაკე ძროხების ბაგური შენახვის პერიოდში თვითეულ ძროხაზე მომარაგებული მაქვს ვიტამინიანი თივა სულ მცირე 2 ცენტნერი.

ხბოს მოგებიდან მეოთხე დღის შემდეგ ძროხას მცირე რაოდენობით ვაძლევ წვნიან და კონცენტრირებულ საკვებს, ხოლო 10 დღის შემდეგ გადამყავს სრულ საკვებ რაციონზე.

პროდუქტიულობის გადიდებაში დიდად მიწყობს ხელს მოწინავე მწველავთა გამოცდილების გაცნობა, ვიყენებ მას და სრულვყოფ ჩემს პროფესიას.

ნ. ტაკაშვილი,
გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ბ. რ. (ბენო) ტელინგატერისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

ბ. რ. ტელინგატერის დაბადებიდან ოთხმოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით და დეკორაციული გაფორმების ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოს ბენედიქტე რაფიელის-ძე (ბენო) ტელინგატერს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1956 წლის 31 აგვისტო.

### თამბაქოს მოსავლის ...

14 სექტემბერი

### ოჩამჩირის რაიონი

**ვალია ახალაია** სოფელ მოქვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან შეტეხა და ანემსა 190 ზონარმეტრი თამბაქო და ამით დღიურ ნორმას 95 ზონარმეტრით გადააჭარბა. სულ 0,3 ჰექტარზე აღებული აქვს 5.800 ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.200 ზონარმეტრისა.

**ელენე ქაჯაია** ამავე კოლმეურნეობაში თამბაქოს შეტეხვისა და ანემსვის დღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს. სულ 0,3 ჰექტარზე უკვე აიღო 5.150 ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.200 ზონარმეტრისა. მისი ვალდებულებაა სეზონში სულ მიიღოს 8 ათასი ზონარმეტრი თამბაქო.

**მაკრიან მინასიანმა** სოფელ არაკიჩის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შეტეხა და ანემსა 140 ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ზონარმეტრისა. სულ 0,4 ჰექტარზე აღებული აქვს 5.946 ზონარმეტრი. გეგმა კი 5.200 ზონარმეტრ თამბაქოს აღებას ითვალისწინებდა.

### ქედის რაიონი

**უნიან სამნიძე** სოფელ პირველი მაისის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. იგი თამბაქოს შეტეხვის და ანემსვის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. სულ 0,2 ჰექტარზე აღებული აქვს 2.100 ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი ზონარმეტრისა.

**ვერიემ ბეჟანიძე** მუშაობს სოფელ ბზუბზუს პაპანინის სახელობის კოლმეურნეობაში. იგი თამბაქოს შეტეხვისა და ანემსვის გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებს.

**დეზიე ხაბაზიმ** სოფელ ქედის მე-19 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში შეტეხა და ანემსა 100 ზონარმეტრი თამბაქო და ამით დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა.

## 30 ტონა ჩაი გეგმის გადამეტებით

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). სოფელ სომხური ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში წამყვან დარგს მეთამბაქოობა წარმოადგენს. ამასთან ერთად ათარელები წარმატებებს აღწევენ მეჩაიეობაშიც. კოლმეურნეობას 40 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია აქვს, საიდანაც უხვ მოსავალს იღებენ.

განსაკუთრებით კარგ წარმატებებს აღწევს მეხუთე ბრიგადა (ხელმძღვანელი ს. კონდაქჩიანი), რომელმაც შარშან 8 ჰექტარი პლანტაციიდან მოკრიფა 25 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16,5 ტონისა. წელს უნდა მოკრიფონ 18 ტონა. კოლმეურნეებმა უფრო მონდომებით იმუშავეს და წლიური დავალება აგვისტოს შუა რიცხვებისათვის გაანაღდეს. დღემდე მოკრეფილია 25 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. აქ კიდევ მოკრეფენ 5 ტონას. ბრიგადაში მოწინავე მეჩაიეებმა ა. დეპელიანმა, ა. არზუმანიანმა, ვ. უსტიანმა უკვე 2.500-3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

დაწინაურდნენ მეექვსე ბრიგადის მეჩაიეები (ბრიგადირი დ. კიულიანი). ბრიგადაში ჩაის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე სამ ტონას გადააჭარბა. მოწინავე მკრეფავებმა ე. სააკიანმა, რ. ბედიკიანმა, მ. აეკიანმა 2.300-2.500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფეს.

კარგა ხანია მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა წლიური გეგმა. კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე სეზონის დასასრულისათვის გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 30 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## ჯილდოები გამარჯვებულებს

სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შეაჯამეს საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენთსაშენების 1956 წლის პირველი ნახევრის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 15 ათასი მანეთის რაოდენობით, სხვა საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, დაიმსახურა საქართველოს სსრ ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ; მეორე ფულადი პრემია 13.100 მანეთის რაოდენობით — ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ; მესამე ფულადი პრემია 5.600 მანეთის რაოდენობით — სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

## პარტიული ცხოვრება

# პარტიის ქარელის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს საშემოდგომო ხვნა-თესვას

ექვსი სექტემბრის დილის რვა საათია. პარტიის ქარელის რაიკომის შენობის წინ დგას მტს-ის დირექტორი დ. ტიტვინიძე. იგი რაიკომის მდივანს ელოდება თბილისში პირად საქმეზე წასვლის ნებართვის მისაღებად. ნებართვა მიიღო და ორ დღეს აღარ გამოცხადებულა მტს-ში. კიდევ რამდენიმე წუთი და რაიკომის წინ ჩამოდგა ახალი კონსტრუქციის „მოსკვიჩი“, რომელსაც ურბნისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბრეგვაძე მართავდა. მას რაიკომის მეორე მდივანი ს. პავლაძე უნდა წაეყვანა ქალაქ გორში. ერთი საათის შემდეგ რაიკომის წინ შევხვდით კეხიჯვრის, მოხისის და ბებნისის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს ნ. ლომიტაშვილს, მ. მორჩილაძეს და მ. ბაზოვს. ეს უკანასკნელი დღის 1 საათამდე იჯდა რაიკომის შენობის წინ მოაჯირზე და დროს უსაქმურად ატარებდა. და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა საშემოდგომო ხვნის გაცხარებული დღეებია, ხოლო ქარელის რაიონში ნიადაგის მომზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურები 10 ათას ჰექტარზე უნდა დაითესოს. ამ მიზნით საშემოდგომოდ უნდა მოიხნას 9.800 ჰექტარი. 5 სექტემბრისათვის კი ხვნა ჩატარებული იყო 3.640 ჰექტარზე.

მზრალად მოხნულია 2.370 ჰექტარი, რაც გეგმის 27 პროცენტს შეადგენს.

საშემოდგომო ხვნის საქმე მეტად ჩამორჩენილია რუისის, ქარელისა და აგარის მტს-ებში. 5 სექტემბრისათვის რუისის მტს-ს ნაცვლად 3.190 ჰექტარისა მზრალად მოხნული ჰქონდა 548 ჰექტარი. ჩამორჩენაა საშემოდგომო ხვნაშიც. შემოღებული არ არის ტრაქტორების მუშაობა სადღეღამისო გრაფიკით, ბევრი ტრაქტორისტი გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებს. ტრაქტორისტმა შ. იორამაშვილმა „ს-80“ მარკის ტრაქტორით 20 სამუშაო დღეში საშემოდგომოდ მხოლოდ 13 ჰექტარი მოხნა, ტრაქტორისტმა კ. მამაგულაშვილმა — 17, ე. ემანუილიძემ — 13, ც. ეგნატაშვილმა — 11, ა. ეგნატაშვილმა — 15 ჰექტარი და ა. შ. ასეთი ძალზე მცირე გამომუშავება იმის შედეგია, რომ არაწესიერი მუშაობის გამო ხშირად ზიანდება ტრაქტორის ნაწილები, ხოლო მათი სწრაფად შეკეთებისათვის არავინ ზრუნავს. ერთ თვეზე მეტია უქმად დგას ტრაქტორი მესამე სატრაქტორო ბრიგადაში (ბრიგადირი ს. მღებრიშვილი), მისი დაზიანებული ნაწილების შეკეთება ვერ მოუხერხებიათ.

რუისის მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ჩამორჩენის გამოსასწორებლად. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა საშემოდგომო ხვნა-თესვის ორგანიზებულად და მოკლე დროში ჩატარების შესახებ, მაგრამ მიღებული დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა. მოსავლის აღების შემდეგ სატრაქტორო ბრიგადებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა შენელდა. მექანიზატორებთან ნაკლებად ეწყობა აგიტატორთა საუბრები, არ გამოდის საველე გაზეთები. მტს-ის პარტბიურო და რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მტს-ის ზონაში (რაიკომის მდივანი შ. კოპაძე) ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. პარტბიურო იშვიათად ამოწმებს მექანიზატორების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.

რუისელმა მექანიზატორებმა წელს მარტო სტალინის სახელობის კოლმეურნეობას უნდა დაუთესონ 1.360 ჰექტარი. აქედან 150 ჰექტარი სარწყავი ლამიანი მიწებია და იქ დღემდე შეიძლებოდა თესვის ჩატარება, მაგრამ ამ შესაძლებლობას არ იყენებენ და საშემოდგომო თესვის საქმეს აშკარა საფრთხეში აგდებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობას კონდიციური თესლი დიდი ხანია მომზადებული აქვს თესვის დასაწყებად.

საშემოდგომო ხვნა-თესვის საკითხი სამ სექტემბერს განიხილა სოფელ ქვენატკოცის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ. ამჟამად კოლმეურნეობაში აგარის მტს-ის ორი ტრაქტორი მუშაობს ნიადაგის მომზადებაზე. ნიადაგი წვიმების გამო საკმაოდ ნესტიანია, შეიძლება თესვის დაწყება, მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ამ საქმეზე ჯერ არც კი უფიქრიათ.

6 სექტემბერს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. თოთლაძე თბილისში იყო, პარტორგანიზაციის მდივანი — ხაშურში. ადგილზე მხოლოდ აგრონომი ვ. ჩუტკერაშვილი დაგვხვდა. ჩვენს შეკითხვაზე მან გვიპასუხა:

— ჩვენი რაიონისათვის თესვის აგროვადები 15 სექტემბრიდან იწყება, და მანამდე არ ვაპირებთ თესვის დაწყებას.

როგორც ჩანს, აგრონომს დავიწყებია გასული წლის მწარე გაკვეთილები, როცა ცუდი ამინდის გამო აგროვადები უხეშად ირღვეოდა და კოლმეურნეობა დაბალ მოსავალს იღებდა.

პარტიის ქარელის რაიკომმა 24 აგვისტოს მოიწვია რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი და ამით საქმე დამთავრებულად მიიჩნიეს.

დიდი ნაკლოვანებებია თესლის მომზადების საქმეშიც. 6 სექტემბრის ცნობით ქარელის თესლის ხარისხის საკონტროლო ლაბორატორიაში კოლმეურნეობების მიერ წარდგენილი 16.464 ცენტნერი თესლის ნიმუშებიდან კონდიციურია მხოლოდ 7.806 ცენტნერი. სოფელ მოხისის კოლმეურნეობას 1.350 ცენტნერი თესლი ესაჭიროება, მაგრამ წარდგენილი თესლის ნიმუში მთლიანად დაავადებული აღმოჩნდა. სოფელ ბრეთის კოლმეურნეობაში 680 ცენტნერი თესლიდან კონდიციურია მხოლოდ 100 ცენტნერი. სათეს კონდიციამდე არც ერთი ცენტნერი თესლი არა აქვს აყვანილი არადეთის კოლმეურნეობას. სოფლების ზღუდერის, იმერხევის, ბანის, გვერძინეთის, თრეხვის, ტყემლოკანის და ჭადრების კოლმეურნეობებს კი სულაც არ წარუდგენიათ შესამოწმებლად თესლის ნიმუშები.

მომავალი წლის უხვი მოსავლის ბედი ახლა წყდება. საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეულ დღეს, თვითეულ საათს. პარტიის ქარელის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უნდა გააძლიერონ საშემოდგომო ხვნა-თესვისადმი ხელმძღვანელობა.

**ვ. გურგენიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ლექტორთა ჯგუფის მუშაობის საკითხი რაიკომის ბიუროზე

წულუკიძე. („კომუნისტის“ კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა ლექტორთა ჯგუფის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა, მრავალფეროვანი გახდა მისი თემატიკა. იკითხება ლექციები ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

ამასთან ერთად ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები არის. ლექციურ პროპაგანდაში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული თალმუდიზმი და სქოლარობა, წარსულით გატაცება. ძალიან ცოტა იკითხება ლექციები ისტორიაში ხალხის მასების როლის, პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის შესახებ. სისტემატურად არ ხდება ლექციების განხილვა. იშვიათად ეწყობა ლექციები რაიონის მთიანი ზონის კოლმეურნეობებში.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ლექტორთა ჯგუფის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

## ლიტერატურა და ხელოვნება

## «გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი»

### ქუთაისის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

„ნუ დასტოვებ ჩემს ძვლებს სპარსეთში, თუ იქ მოვკვდი, თბილისში მამა დავითის მონასტერში დამმარხეთ“, უთხრა გრიბოედოვმა სპარსეთში გამგზავრებისას თავის მეუღლეს, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ნინოს. საბედისწეროდ, ახდა ეს დანაბარები. რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი სპარსეთში, ავტორი უკვდავი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“ — 1829 წლის 30 იანვარს (ძვ. სტილით) გამხეცებული ბრბოს მსხვერპლი გახდა თეირანში. ძვირფასი ადამიანის ცხედარი თბილისის კარიბჭესთან 17 ივლისს საღამოს მოასვენეს.

ნინო ჭავჭავაძემ, რომელსაც სიმშვენიერით, კდემამოსილებით და ნიჭით, თანამედროვეთა გადმოცემით, ბადალი არ ჰყავდა, ატირებულმა მეუღლეს უკანასკნელი ანდერძი და მამა დავითის მიწას მიაბარა ძვირფასი ნეშტი. მეტად სადად და გემოვნებით აგებულია ძეგლი მრავალმეტყველი წარწერით: „გონება და საქმენი შენი უკვდავია რუსთა ხსოვნაში, მაგრამ როგორ იცოცხლის ჩემმა სიყვარულმა შენს შემდეგ. დაუვიწყარს — ნინოსაგან“.

მაგრამ მარტო ნინოსთვის ხომ არ იყო დაუვიწყარი გრიბოედოვი. საქმენი მისი უკვდავია, როგორც რუსთა ხსოვნაში, ისე ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა კეთილდღეობა და მათი კულტურა. დიდი რუსი მწერალი ქართველთათვისაც მშობლიურია, და ამით აიხსნება, რომ ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მიერ წარმოდგენილ დ. თაქთაქიშვილის პიესა „გრიბოედოვს“ ასე მხურვალედ შეხვდა დედაქალაქის მაყურებელი.

დრამატურგ დ. თაქთაქიშვილს ღრმად შეუსწავლია ის ეპოქა და გარემო, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება გრიბოედოვს, და ყოველივე ეს კარგ დრამატულ ჩარჩოში მოუქცევია. პიესა პოლიტიკურად მეტად გამახვილებულია და ამა თუ იმ მოვლენათა დიაგნოზი მართებულია. სცენაზე ცოცხალი ადამიანები დადიან და არა მოლაპარაკე სქემები. ზოგიერთ პერსონაჟს სულ ორი-სამი ფრაზა აქვს სათქმელი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი და შთამბეჭდავი. რაც მთავარია, გრიბოედოვის პირადი განცდები უკანა პლანზეა, და დიდი დრამატურგი გვევლინება, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. პიესას აქვს ხარვეზებიც. მართალია, სცენაზე რეალურ პიესებშიც ვერ გავექცევით პირობითობას, მაგრამ ეს დამაჯერებელი უნდა იყოს. ავტორს დასჭირდა მარკიზის ბნელი საქმეებისათვის ფარდა აეხადა, და ამისათვის კაფეს მეპატრონე ფრანგი ტოლე შემოიყვანეს მთავარმართებელ პასკევიჩთან საზეიმო ბალზე, რაც არ არის დასაჯერებელი. არის სხვა შეუსაბამობანი, მაგრამ პიესაში იმდენი ჯანსაღი მარცვალია, რომ ეს ხარვეზები იფარება და შთაბეჭდილება არ ნელდება.

დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია თეატრის მთელი კოლექტივი ამ პიესის დადგმას.

მხატვარი დ. თაყაიშვილი ყურადღებას იქცევს ეპოქის სწორი ასახვით და აშკარავებს ოსტატობას დეკორაციულ ხელოვნებაში.

პროფესორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ქ. მეღვინეთ-უხუცესის მუსიკა მელოდიურია და პიესის ათვისებას ხელს უწყობს.

ქორეოგრაფ დ. მაჭავარიანის მიერ დადგმული ცეკვები შთამბეჭდავია და ეპოქის ამსახველი.

თეატრის პროგრამა არ გვაცნობს, კოსტიუმები რომელი მხატვრის ესკიზებით არის გაკეთებული. მაგრამ თვითეულ კოსტიუმში რომ იგრძნობა მხატვრის გემოვნება და დაცულია მაშინდელი დროის სტილი, ეს უდავოა.



სპექტაკლს ეტყობა დამდგმელის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თეიმურაზ ლორთქიფანიძის მტკიცე ხელი, ფაქიზი გემოვნება და ეპოქის ღრმად შესწავლა. მისი ყოველი მიზანსცენა ლამაზია და გამართლებული.

თქმა იმისა, რომ ყველა როლი ერთნაირად იქნა დაძლეული, არ შეიძლება. ზოგი ძლიერ კარგი იყო, ზოგი დამაკმაყოფილებელი, ზოგი კი მოისუსტებდა. ასეა ყველა თეატრში, და ვერც ქუთაისის თეატრი ასცდებოდა ამას. არ შევუდგებით ყველა პერსონაჟის ჩამოთვლას, შევეხებით ზოგიერთს. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ ალექსანდრე გრიბოედოვის როლის შემსრულებელს გ. ნაცვლიშვილს.

ჩვენ პირველად ვხედავთ სცენაზე ამ მსახიობს და ერთი ნახვით საბოლოო შთაბეჭდილების გამოტანა ძნელია. ერთი კი ცხადია. იმდენი სითბო, მხატვრული სისადავე და სიმართლე დავინახეთ მის მიერ წარმოსახულ გრიბოედოვში, რომ კარგა ხანს ეს სახე მეხსიერებიდან არ ამოიშლება. რაც მთავარია, მსახიობი სრულ გარდასახვას ახდენს და გმირის ორეული ხდება.

არისტოკრატი ქალის კოლორიტული სახე შექმნა გრიბოედოვის დედის როლში რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ღვინიაშვილმა.

რამდენი სიხარული გვაგრძნობინა როლის სწორად და მხატვრული ზომიერებით განსახიერებით რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. ხაჯალიამ (საშკა — გრიბოედოვის მსახური). ასევე კარგი იყო გრიბოედოვის დედის მსახურის მართას როლში მსახიობი თ. პოკროვსკაია.

კდემამოსილი, ფაქიზი ნინო ჭავჭავაძის — მურილიოს მადონის, როგორც უწოდებდა თავის მეუღლეს გრიბოედოვი, მომხიბლავი და შთამბეჭდავი სახე შექმნა მ. გელაშვილმა.

ეპიზოდური როლებიდან ყურადღებას იქცევენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ხონელი (კავკასიის მთავარმართებელი პასკევიჩი), ა. მურუსიძე (თბილისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი სიპიაგინი) და ვ. ჩხიკვაძე (სოლომონ დოდაშვილი).

დ. თაქთაქიშვილის „გრიბოედოვი“ ქუთაისის სახელმწიფო თეატრს უდავოდ აქტივში ჩაეთვლება.

**ა. გურთიკაშვილი.**

• • •

**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან „გრიბოედოვი“.

## მესტიელ სცენისმოყვარეთა ახალი წარმოდგენა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალურმა სალექციო ბიურომ ამ ცოტა ხნის წინათ მესტიის რაიონში მიავლინა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. დოლიძე. მან აქ წაიკითხა ლექციები ქართული თეატრის ისტორიიდან, რომელსაც მრავალი მსმენელი დაესწრო.

რაიონული კულტურის სახლის დირექციის მიწვევით ვ. დოლიძემ ადგილობრივი თეატრალური კოლექტივის ძალებით განახორციელა ახალი სპექტაკლის დადგმა — წარმოდგენილ იქნა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ (ინსცენირებული გ. ნახუცრიშვილის და დ. ცხაკაიას მიერ).

ვ. დოლიძემ პირველ ორ სპექტაკლში განასახიერა ბატონის შვილის დათიკოს როლი. მასთან ერთად მთავარ როლებს ასრულებდნენ სცენის მოყვარეები პ. დადვანი (გაბრო), ვ. მარგიანი (პეპია), ა. დადვანი (თამრო) და სხვ.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ვ. ღარიბაშვილმა, ხოლო მუსიკალურად პ. დადვანმა.

რაიონული კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის ამ ახალმა დადგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. სპექტაკლებს მრავალი მაყურებელი ესწრებოდა.

## ახალი წიგნები

**ა. ლომიძე,** ნოველები და მოთხრობები, სახელგამი, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 7.000, გვ. 185, ფასი 4 მან.

**ე. ქიფიანი,** მაღალი ჭერი, მოთხრობები, საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 8.000, გვ. 262, ფასი 3 მან.

**ვ. გვეტაძე,** განთიადის შემდეგ, ლექსები, სახელგამი, თბილისი, 1956 წ. ტირაჟი 5.000, გვ. 60, ფასი 1 მან. 40 კაპ.

## „რუსთავის მერცხლები“ რუსულ ენაზე

ახლახან მოსკოვის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის საკავშირო გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა გრიგოლ აბაშიძის საბავშვო პოემა „რუსთავის მერცხლები“.

პოემა ქართულად რამდენჯერმე დაიბეჭდა და დაჯილდოებული იყო საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებების რესპუბლიკურ კონკურსზე.

„რუსთავის მერცხლების“ თარგმანი შეასრულა პოეტმა მ. შეხტერმა.

წიგნი ლამაზად დასურათებულია მხატვარ ვ. ალფეევსკის მიერ.

ტირაჟია 25.000 ცალი.




კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

# ძირითადი ფონდების მოდერნიზაცია

ყოველგვარი საზოგადოებრივი წარმოებისათვის აუცილებელია, სამუშაო ძალის გარდა, წარმოების საშუალებათა არსებობა. ეს საშუალებანი წარმოდგენილი არიან შრომის საშუალებებით (საწარმოო შენობები, ნაგებობანი, მანქანები, მოწყობილობა და სხვ.) და შრომის საგნებით (ნედლეული, დამხმარე მასალა, სათბობი და ა. შ.).

წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში შრომის საშუალებანი და შრომის საგნები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სახეს იღებენ და წარმოების საშუალებათა მესაკუთრეები მათ იყენებენ მშრომელთა ექსპლოატაციის მიზნით, ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად და შემდეგ მისათვისებლად.

სოციალისტური ეკონომიკის პირობებში, სადაც გაუქმებულია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და დამკვიდრებულია მათი საზოგადოებრივი საკუთრება, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალი. სოციალისტური ეკონომიკის დროს წარმოების საშუალებანი იყოფა ძირითად და საბრუნავ ფონდებად.

ძირითადი ფონდების განსხვავება საბრუნავი ფონდებისაგან განისაზღვრება მათი ღირებულების მიმოქცევის თავისებურებით. ძირითადი საწარმოო ფონდების შემადგენლობაში შედიან შრომის ისეთი საშუალებანი, რომელნიც მოქმედებენ წარმოების პროცესში რამდენიმე საწარმოო ციკლის განმავლობაში, არ ტოვებენ საწარმოო პროცესს მანამდე, ვიდრე თავიანთ ღირებულებას თანდათან ან ნაწილ-ნაწილ არ გადასცემენ დამზადებულ პროდუქციას. შრომის ასეთი საშუალებებია: საწარმოო შენობები, ნაგებობანი, მანქანები და სხვ. მეურნეობის სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების განუწყვეტელ ზრდას და შესაძლებლობას იძლევა ისინი გამოყენებულ იქნან გაცილებით უკეთესად, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. სსრ კავშირში მრეწველობის ძირითადი ფონდები გამოყენებულია დაახლოებით ორჯერ უფრო ეფექტურად, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებას თან ახლავს ჩვენი მრეწველობის უდიდესი აღმავლობა, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა შექმნა, პროდუქციის გამოშვების გადიდება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, კულტურული დონის ამაღლება, მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქცია. სოციალიზმის დროს ტექნიკის გეგმაზომიერი განვითარება მოითხოვს წარმოებაში ყოველი ახალი მანქანის, აგრეგატის, მექანიზმის დანერგვის ეკონომიური ეფექტურობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფილ უნდა იქნას საწარმოო ძალთა შემდგომი მძლავრი აღმავლობა, მეურნეობის გადაყვანა წარმოების უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ძირითადი საწარმოო ფონდების გაუმჯობესებას, ახალი მანქანებისა და მექანიზმების დანერგვას და არსებული მოწყობილობის განახლებას, მოდერნიზაციას.

მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები თავიანთი ფიზიკური გაცვეთის პროცესში დაკარგულ ღირებულებას გადასცემენ დამზადებულ პროდუქციას, რასაც ძირითადი ფონდების ამორტიზაცია ეწოდება. შრომის საშუალებათა ფიზიკური გაცვეთის გარდა კ. მარქსი არჩევდა ე. წ. მორალურ გაცვეთას.

მარქსი შრომის საშუალებათა მორალურ გაცვეთას ორგვარი მიზეზით ხსნის: ერთი მხრივ შრომის საშუალებათა წარმოების დარგში შრომის ნაყოფიერების გადიდებით და ამის გამო მათი კვლავწარმოების პირობების შეცვლით, ხოლო მეორე მხრივ ახალი, კონსტრუქციულად გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების დანერგვით, რაც იწვევს ძველი კონსტრუქციის მანქანა-იარაღების ერთგვარ გაუფასურებას. ამ შემთხვევაში მორალურად გაცვეთილი ტექნიკა შეცვლილი უნდა იყოს ახალი ტექნიკით. მარქსის ეს დებულება სავსებით შეეფერება სოციალისტურ წარმოებას, ვინაიდან სოციალიზმის დროს არ არსებობს პირობები, რომლებიც ზღუდავდნენ, ხელს უშლიდნენ ახალი სრულყოფილი ტექნიკის დანერგვასა და გავრცელებას.

ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის დროს შრომის საშუალებანი მორალურ გაცვეთას არ განიცდიან. ცხადია, ასეთი შეხედულება არათუ სწორი არ არის, არამედ მავნეც არის ახალი ტექნიკის გავრცელებისათვის. პარტია და მთავრობა მოითხოვენ ფართოდ დაინერგოს ახალი, გაუმჯობესებული მექანიზმები და ავტომატები, გაუმჯობესდეს ახალი მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხი, მიღწეულ იქნას ისეთი მდგომარეობა, რომ მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქცია, მათი მუშაობის მაჩვენებლები შესაბამებოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, ხოლო მოძველებული მანქანები, მოწყობილობა და მასალები დროზე მოიხსნას წარმოებიდან და შეიცვალოს ახალი, სრულყოფილი ტექნიკით. ახალმა ტექნიკამ ხმარებიდან უნდა გამოდევნოს მორალურად მოძველებული მოწყობილობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ნ. ა. ბულგანინი, აკრიტიკებდა რა ზოგიერთ ეკონომისტთა შორის გავრცელებულ ანტიმეცნიერულ თეორიას, აღნიშნავდა: „ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ამგვარი „თეორიით“ ცდილობენ გაამართლონ უძრაობა და კონსერვატიზმი. მისი მიზანია დაამტკიცოს, თითქოს სოციალისტური საზოგადოებისათვის ხელსაყრელია გამოიყენოს მოძველებული მოწყობილობა, რომელიც არ შეესაბამება მაღალ ტექნიკურ დონეს, რაც მიღწეულია ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოებში“.

სამრეწველო პროდუქციის სისტემატური ზრდისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ფაბრიკა-ქარხნებში ტექნიკური რეკონსტრუქციის განხორციელებას, რაც ორი მიმართულებით ხორციელდება. პირველი მიმართულება გულისხმობს მოძველებული მოწყობილობის ახალი, დიდი წარმადობის მოწყობილობით შეცვლას, ხოლო მეორე მიმართულება მოასწავებს არსებული მოწყობილობის მოდერნიზაციას. მოდერნიზაცია ნიშნავს მანქანების, აპარატების, ტექნოლოგიური დანადგარების შედარებით უმნიშვნელო კონსტრუქციულ ცვლილებას, ცალკეული კვანძებისა და აგრეგატების განახლებას, მასალის გამოცვლას თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად. მოდერნიზაციის შედეგად, შედარებით მცირე დანახარჯებით, შესაძლებელი ხდება მოწყობილობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მოწყობილობის მოდერნიზაცია უზრუნველყოფს მისი მუშაობის სიჩქარის გადიდებას, ე. ი. დროის ერთეულში ბრუნვათა რიცხვის ზრდას, მარგი-მოქმედების კოეფიციენტის გაუმჯობესებას.

პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებულ დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციის აუცილებლობა. დირექტივებში ნათქვამია: „უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება მოქმედ საწარმოებში შრომის ნაყოფიერების გადიდების, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციისა და შეცვლის, „ვიწრო ადგილების“ ალკვეთის, აგრეთვე საწარმოთა უფრო რიტმული მუშაობის და პროდუქციის თანაბარი გამოშვების ორგანიზაციის, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაგეგმვის საქმის გაუმჯობესების გზით“.

მოწყობილობის მოდერნიზაცია საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ მოწყობილობის წარმადობა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში მიღებული გამოცდილება. ერთ-ერთ მოძველებული კონსტრუქციის სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხს შეუცვალეს შპინდელზე სრიალა საკისარი საქანაო საკისარით და ამით შესაძლებელი გახდა შპინდელის ბრუნვათა საგრძნობი ზრდის მიღწევა, ამ ჩარხზე ლითონის ჩქაროსნული ჭრის განხორციელება, სხვადასხვა დეტალების დამუშავების შრომატევადობის შემცირება.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მხოლოდ ხუთი სალარავი ჩარხისათვის ელექტრომოტორის სიმძლავრის გადიდებამ უზრუნველყო ამ ჩარხებზე თუჯისა და ფოლადის დეტალების ჩქაროსნული დამუშავების დანერგვა.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში ძველი კონსტრუქციის ბრტყლად სახეხი ჩარხის მოდერნიზაციის მეოხებით შპინდელის ბრუნვათა რიცხვი წუთში გაიზარდა 1.500-დან 3.000-მდე, რის შედეგადაც ჩარხის წარმადობა გადიდდა 50 პროცენტით.

მოწყობილობის მოდერნიზაციის ხარჯზე არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების მდიდარი შესაძლებლობანი მოიპოვება არა მარტო მანქანათმშენებლობის, არამედ მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

საქართველოს საფეიქრო (აბრეშუმის) მრეწველობის საწარმოებში მოწყობილობის დიდი ნაწილი მოძველებულად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი წარმატებით არის მოდერნიზებული, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, აუცილებელია ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება წინასწარ შემუშავებული მტკიცე გეგმის მიხედვით.

თამბაქოს მრეწველობა შეიარაღებულია ძველი კონსტრუქციის მანქანებით. ამჟამად დიდი მუშაობა წარმოებს თამბაქოს ფაბრიკებში ახალი კონსტრუქციის მანქანების გამართვის და ძველი მანქანების მოდერნიზაციისათვის.

მოდერნიზაცია მტკიცე საფუძველზე რომ განვახორციელოთ, ამისათვის საჭიროა ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ როგორც მოწყობილობის მომხმარებელი საწარმოების, ისე ამავე მოწყობილობის მწარმოებელი ქარხნების საკონსტრუქტორო ბიუროების წარმომადგენლებმა. მასობრივი წარმოების მანქანების მოდერნიზაციის განხორციელებისათვის საჭიროა მოეწყოს ახალი სამანქანო კვანძების, დეტალებისა და სამარჯვების წარმოება ცენტრალიზებული წესით. ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გარდა, მოწყობილობის მასობრივი მოდერნიზაციისათვის საჭიროა დაფინანსების წყაროების გამონახვა.

წარმოებაში მოდერნიზებული მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება იმას როდი ნიშნავს, რომ მანქანათმშენებელი ქარხნები მოძველებული ტიპის მანქანებს უშვებდნენ. ძველი ტიპის მოწყობილობის გამოშვება იმ დროს, როდესაც შექმნილია ახალი ტიპის მანქანები, გაუმართლებელ დანაკარგებს იწვევს. ძველი მოწყობილობის გამოყენება ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, იწვევს ნედლეულის, მასალის, სათბობის არარაციონალურ გამოყენებას და ცოცხალი შრომის ხარჯვის გადიდებას. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ახალი ტიპის მანქანების კონსტრუირებას, მათი წონის შემცირებას, დიდ სიჩქარეთა მიღწევას, ტექნიკურ და ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებას. სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით გაუმართლებელია ისეთი მანქანების გამოშვება, რომელთა ტექნიკური და ეკონომიური დახასიათება არ შეესაბამება თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს.

**დოც. ირ. მიქელაძე.**

# აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა მეექვსე ხუთწლედში

აზერბაიჯანის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ასრულებენ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს.

როგორც ჩანს აზერბაიჯანის სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან „აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“, აზერბაიჯანის სსრ მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, აქედან აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში მყოფმა მრეწველობამ — 101 პროცენტით.

1956 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის საერთო პროდუქცია 6 პროცენტით გადიდდა 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეების წარმოების გეგმა 1956 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია: ნავთობის—100,7 პროცენტით, ბენზინისა—101 პროცენტით, ნავთისა 100 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 102 პროცენტით, ხორცისა — 103 პროცენტით, თევზის ჭერისა — 119 პროცენტით, ერბო-კარაქის და რძის სხვა პროდუქტებისა — 102 პროცენტით, კონსერვებისა — 138 პროცენტით, ყურძნის ღვინისა — 102 პროცენტით და ა. შ.

შრომის ნაყოფიერება 1956 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მრეწველობაში გადიდდა 4 პროცენტით.

ყველა სავაზაფხულო კულტურის ნათესმა ფართობებმა 1956 წელს მთლიანად რესპუბლიკაში 510 ათასამდე ჰექტარი შეადგინა.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1956 წლის პირველი ივლისისათვის 1955 წლის პირველ ივლისთან შედარებით გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 24,3 ათასი სულით ანუ 3 პროცენტით, მათ შორის ძროხისა და ფურკამეჩისა — 3,2 ათასი სულით ანუ 2 პროცენტით, ცხვრისა — 230 ათასი სულით ანუ 8 პროცენტით და ღორისა — 5,5 ათასი სულით ანუ 10 პროცენტით.

1956 წლის პირველ ნახევარში საშუალო სკოლების მეათე კლასები, მათ შორის მუშაახალგაზრდობის საშუალო სკოლები და მოზრდილთა სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 27,6 ათასმა კაცმა ანუ 21 პროცენტით მეტმა, ვიდრე შარშან.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, მათ შორის დაუსწრებელი სასწავლებლები, მიმდინარე წელს უშვებენ 10 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, რაც 25 პროცენტით აღემატება გასული წლის გამოშვებას.

* * *

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ წარმოების განუხრელ ზრდას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კულტურული დონის ამაღლებას. მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელები, რომლებიც აღზრდილი არიან კომუნისტური პარტიის მიერ, მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამა მოქმედებაშია. აზერბაიჯანის სსრ მშრომელები ვადამდე განახორციელებენ დიად სამუშაოთა გეგმას და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში.

დიდია აზერბაიჯანის მშრომელების წინაშე მეექვსე ხუთწლედში მდგომი ამოცანები. ამ გვერდში მოთხრობილია ამ უდიდეს ამოცანებზე.

## ენერგეტიკული მეურნეობის ზრდა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში ხუთი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოების გადიდება დაახლოებით 1,6-ჯერ, თბოელექტროსადგურების სიმძლავრეთა გაფართოება, მტკვარზე ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემების გაერთიანება.

სუმგაიტის თბოელექტროსადგურის, აგრეთვე ელექტროსადგურ „წითელი ვარსკვლავის“ გაფართოების შედეგად ელექტროსადგურების სიმძლავრე საგრძნობლად გადიდდება. განახლდება ელექტროსადგურ „წითელი ვარსკვლავის“ მოწყობილობა, აქ დაიდგმება მაღალი წნევის ახალი მანქანები. 1956 წელს ელექტროსადგური „სევერნაია“ მთელი სიმძლავრით ამუშავებს. იგი იქნება მაღალი წნევის პირველი ელექტროსადგური ამიერკავკასიაში და ყველაზე მძლავრი თბოელექტროსადგური ამიერკავკასიის ენერგოსისტემაში. 1958 წლიდან დაიწყება მუშაობა აღნიშნული სადგურის გასაფართოებლად, ხოლო 1960 წელს ეს სამუშაო მთლიანად დამთავრდება. 1956 წელს მდინარე მტკვარზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ვარვარინოს ჰიდროელექტროსადგური. ამჟამად დაჩქარებული ტემპებით წარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები მდინარე მტკვარზე აქსტაფის ჰიდროელექტროსადგურის ახაშენებლად, რომელიც თავისი სიმძლავრით მეორე დიდი ელექტროსადგური იქნება ამიერკავკასიაში მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ. იგი ელექტროენერგიას მისცემს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემას.




ელექტროსადგურების მშენებლობას წელს შარშანდელთან შედარებით 22,8 პროცენტით მეტი სახსრები მოხმარდება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება მაღალვოლტიან გადაცემათა ქსელი. მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეთა გამოსაყენებლად ევლახში, აგდამში, ნუხაში, უჯარაში, ქურდამირში, მასალში აშენდება ცენტრალური ქვესადგურები. დამთავრდება მაღალვოლტიანი ელექტროხაზების მშენებლობა მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურსა და ევლახს შუა, ევლახსა და აგდამს შუა, ევლახსა და ნუხას შუა, ევლახსა და უჯარას შუა, უჯარასა და ქურდამირს შუა, სალიანსა და მასალს შუა. გათვალისწინებულია ცენტრალური რაიონული ელექტროსადგურების ბაზაზე რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში აშენდეს განშტოებული ელექტროსადგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის მოსახლეობისა და საწარმოების მომარაგებას ელექტროენერგიით.

ბარდის, ლიაკის, სტეპანაკერტის, აღჯაბედის, შამქორის, თაუზის, საფარალის, ყაზახის, ხაჩმასის, პუშკინის, ასტრახანბაზარის, ლენქორანისა და ასტარის რაიონებში შენდება ქვესადგურები და ამ რაიონებს შუა მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზები. აგრეთვე აშენდება ზემოაღნიშნული ქვესადგურებიდან შორეულ რაიონულ ცენტრებში, მტს-ებში და სხვა ობიექტებზე ელექტროგადამცემი მაღალვოლტიანი ხაზები.

ახალ ხუთწლედში აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში აშენდება 380 ათასი კილოვატის საერთო სატრანსფორმატორო სიმძლავრის 6 ქვესადგური, 144 ათასი კილოვატის საერთო სატრანსფორმატორო სიმძლავრის 25 ქვესადგური, 2 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის ახალი ელექტროგადამცემი მაღალვოლტიანი ხაზები. მნიშვნელოვნად გადიდდება ელექტროენერგიის გადაცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროების ობიექტებისათვის. მუშავდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ყოფაცხოვრებაში ელექტროენერგიის გამოყენების გადიდება.

**ა. ბაირამ-ზადე,**
ტრესტ „აზენერგოს“ მთავარი ინჟინერი.

## ფართოვდება ნავთობის საძიებო სამუშაოები



მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობის წინაშე ფრიად სერიოზული ამოცანები დგას. ახალ ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში ნავთობის მოპოვება გადიდდება დაახლოებით 2-ჯერ, გაზის მოპოვება — დაახლოებით 4-ჯერ.

ამ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა მეექვსე ხუთწლედში გადავჭრათ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ამ მხრივ გეოლოგიურ-საძიებო და გეოლოგიურ - სადაზვერვო სამუშაოთა სწორ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ნავთობის საბადოები, რომლებსაც დიდი პერსპექტივები აქვთ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩავატაროთ შავი ოქროს ამ საბადოების დაზვერვა. ხოლო ნავთობის მრეწველობის სწრაფი ზრდა რომ უზრუნველვყოთ, საჭიროა ახალ ხუთწლედში ერთიორად დავაჩქაროთ ბურღვა და 30 პროცენტით შევამციროთ ამ სამუშაოთა თვითღირებულება.

გათვალისწინებულია განხორციელდეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ზღვის ჰორიზონტებიდან ნავთობის ამოღების ტემპის დასაჩქარებლად. მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის მთელი ნავთობის სულ მცირე 40 პროცენტი ჩვენს რესპუბლიკაში ამოღებულ იქნება ზღვის სიღრმეებიდან. ახალ ხუთწლედში ჩვენი ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა საზღვაო ესტაკადების კონსტრუქციების სრულყოფა და ზღვის ღრმა ადგილებში საძირკვლის ჩაყრის გაუმჯობესება.

სერიოზული ყურადღება მიექცევა იმასაც, რომ ყველა ნავთობსახდელ ქარხანაში თხევადი სათბობი შეიცვალოს ნავთობის ბუნებრივი გაზით. სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ყოველწლიურად დავზოგოთ რამდენიმე ასეული ათასი ტონა თხევადი სათბობი.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენს წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველვყოთ გამოყენება ნავთობის ნარჩენებისა მისი გადამუშავების შემდეგ. ჩვენს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ნარჩენები, როგორიც არის გუდრონი, რომელსაც საცხები ზეთების გადამუშავების შემდეგ იღებენ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არის ამ ნარჩენებიდან ახალი პროდუქტების მიღების დიდი შესაძლებლობა. ეს ღონისძიებანი შესაძლებელს გახდიან გავზარდოთ გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების წარმოება და გავადიდოთ ნავთობის ხელოვნური გაზების მარაგი.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მიღება გაზებისა როგორც ნედლეულისა სპირტის და სინთეზური კაუჩუკის საწარმოებლად. სათანადო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ჩვენ შევძლებთ ყოველწლიურად დავზოგოთ ათეულ მილიონობით ფუთი მარცვლეული. ქიმიური საშუალებებით გაზის გადამუშავება შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე გავადიდოთ სარეცხავი პროდუქტების წარმოება და ამ პროდუქტებით შევცვალოთ ცხიმები, რომლებიც საპნის წარმოებას ხმარდება.

ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას ჩვენი ქარხნების მხოლოდ სპეციალიზაციისა და ფართო კოოპერირების გზით.

აზერბაიჯანელი მენავთობეები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პასუხად სისტემატურად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ნავთობის მრეწველობის ყველა საწარმოში ღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმულთა შორის წინ არიან ნავთობის ტრესტების „ლენინნეფტის“, „სიაზანნეფტისა“ და „არტემნეფტის“ კოლექტივები, რომლებმაც ქვეყანას გეგმის გადამეტებით უკვე მისცეს ათობით ტონა ნავთობი.

1956 წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება ნიადაგს მოამზადებს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის.

**ა. ალიხანოვი,**
აზერბაიჯანის სსრ ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

* * *

სურათზე: ნავთობის ესტაკადის მშენებლობა.
ფოტო ვ. იბადოვისა.

## საზოგადოებრივი მეცხოველეობა აღმავლობის გზაზე

სკკპ XX ყრილობის დირექტივებით სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია 1960 წელს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში რძის წარმოება 1955 წელთან შედარებით გადიდდეს დაახლოებით 2,4-ჯერ, ხორცისა — 2,1-ჯერ, მატყლისა — 1,6-ჯერ.

ამუშავებენ რა მეცხოველეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დადგენილი ოდენობით რძის წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინეს ძროხებისა და ფურკამეჩების საზოგადოებრივი სულადობა 1955 წლის 210 ათასი სულიდან გაადიდონ 380 ათას სულამდე, ე. ი. 81 პროცენტით. ამასთან ერთად დასახულია ამოცანა ძროხებისა და ფურკამეჩების პროდუქტიულობა 1955 წლის 601 კილოგრამი რძიდან გადიდდეს სულ მცირე 1.030 კილოგრამამდე თვითეულ სულზე.

უახლოეს წლებში ხორცის წარმოების გასადიდებლად საჭიროა მკვეთრად გავადიდოთ ღორის გაზრდა და გასუქება. 1955 წელს კოლმეურნეობებმა ღორის სულადობა რესპუბლიკაში გაადიდეს 52,5 ათასიდან 62,7 ათას სულამდე. მაგრამ ეს უნდა ჩაითვალოს იმ დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისად, რომელიც კოლმეურნეობებმა მეღორეობის განვითარების საქმეში უნდა გასწიონ.

მეცხვარეობის დარგში რესპუბლიკის კოლმეურნეობათა უმთავრესი ამოცანაა ცხვრის სულადობის შემდგომ ზრდასთან ერთად ყოველი ღონისძიებით გაადიდონ მატყლის პროდუქტიულობა. 1955 წელს ცხვრის მოვლა-პატრონობის ერთგვარი გაუმჯობესების შედეგად მატყლის საერთო გამოსავლიანობა გადიდდა 15 პროცენტით, მატყლის ნაპარსი თვითეულ ცხვარზე საშუალოდ გაიზარდა 2,1 კილოგრამიდან 2,4 კილოგრამამდე.

მეექვსე ხუთწლიან გეგმაში განზრახულია მეფრინველეობის მნიშვნელოვანი განვითარება. თავიანთ პერსპექტიულ გეგმებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გაითვალისწინეს თითქმის ოთხჯერ გაადიდონ კვერცხმდებელი დედლების სულადობა. ქათმების კვერცხმდებლობის გადიდებასთან ერთად ეს შესაძლებელს გახდის კოლმეურნეობებში კვერცხის წარმოების გადიდებას 8-10-ჯერ და ამასთან ერთად რესპუბლიკის ხორცის ბალანსში ფრინველის ხორცის ხვედრითი წონის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

მეცხოველეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით მეექვსე ხუთწლედში დასახულია კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს მუშაობა კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

1960 წლისათვის განზრახულია კოლმეურნეობებში მექანიზებულ იქნას წყალმომარაგება და მოეწყოს ავტომატური სარწყულებლები 1.000 ფერმაში, დაინერგოს ელექტრომექანიკური წველა სულ მცირე 400 ფერმაში, მექანიზებულ იქნას ტრანსპორტი 700 ფერმაში, კოლმეურნეობათა უდიდეს უმრავლესობაში მთლიანად მექანიზებულ იქნას უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების შემზადება პირუტყვისათვის მისაცემად.

**ნ. ეფენდიევი,**
აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

## ციფრები და ფაქტები

✪ მეექვსე ხუთწლედში აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდება დაახლოებით 1,4-ჯერ, აქედან რესპუბლიკური მრეწველობის საერთო პროდუქცია — 1,6-ჯერ.

✪ 1960 წელს რესპუბლიკაში მოპოვებულ იქნება 15 მილიონ 700 ათასი ტონა ნავთობი და 3 მილიარდ 500 მილიონი კუბმეტრი გაზი.

✪ ხუთი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება გადიდდება დაახლოებით 1,6-ჯერ, ბამბის ქსოვილებისა — 2-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 3-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,4-ჯერ, ყურძნის ღვინისა და ჩაისა — 1,8-ჯერ.

✪ 1956 წელს ბაქოში დაიწყება კამვოლური კომბინატის მშენებლობა. სრული ამუშავების შემდეგ კომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს 3 მილიონ მეტრ მაღალხარისხოვან საკოსტიუმე მატერიას.

✪ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია დაშქესანის რკინის მადნის მრეწველობის განვითარება, ნაგლინის წარმოების გადიდება. კიროვაბადის თიხამიწის ქარხნის, სუმგაიტის სუპერფოსფატის ქარხნისა და მინგეჩაურის ბამბეულის კომბინატის ამუშავება.

✪ მეექვსე ხუთწლედში გაფართოვდება თბოელექტროსადგურების სიმძლავრეები და დაიწყება ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მტკვარზე.

✪ სოფლის მეურნეობის დარგში დირექტივებით გათვალისწინებულია 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ნედლი ბამბის წარმოება გადიდდეს დაახლოებით 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,5-ჯერ, მარცვლეულისა — 1,8-ჯერ, რძისა — 2,4-ჯერ, ხორცისა — 2,1-ჯერ, მატყლისა — 1,6-ჯერ.

✪ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბაღები და ვენახები გაშენდება 38 ათას ჰექტარ ფართობზე.

✪ უზრუნველყოფილ იქნება სარწყავი ქსელის მშენებლობა 125 ათას ჰექტარ ფართობზე და საძოვრების გაწყლოვანება 1.250 ათას ჰექტარ ფართობზე.

✪ 1960 წელს სიმინდის ნათესი ფართობი 1956 წელთან შედარებით გადიდდება 99 ათასი ჰექტარით.

✪ ახალ ხუთწლედში მომინანქრებული ჭურჭლის წარმოება გადიდდება 4,6-ჯერ, ლითონის საწოლებისა — 2-ჯერ, მონიკელებული საწოლებისა — 9,5-ჯერ, ავეჯისა — 2,3-ჯერ, საგალანტერიო საქონლისა — 2,5-ჯერ, წინდის ნაწარმისა — 67 პროცენტით, ტრიკოტაჟის საცვლებისა — 67 პროცენტით.

✪ საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება ხუთ წელიწადში გადიდდება 2,2-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის პროდუქტებისა — 5,2-ჯერ.



ბაქო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი შენობა.

## მსუბუქი მრეწველობა

მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდა. ამ ამოცანებმა ასახვა ჰპოვეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის დარგების შემდგომი განვითარების ხუთწლიან გეგმაში.

მაგალითად, ნაწარმის გამოშვება, რაც განზრახულია 1960 წელს, გადააჭარბებს 1955 წლის ფაქტიურად მიღწეულ დონეს: სამკერვალო ნაწარმისა — 63 პროცენტით, მათ შორის: პალტოებისა — 68 პროცენტით, კოსტიუმებისა — 52,5 პროცენტით, კაბებისა — 35 პროცენტით, შარვლებისა — 30 პროცენტით. ფეხსაცმლის მატება 1960 წელს 47 პროცენტი იქნება, ტრიკოტაჟის საცვლებისა — 20 პროცენტი, წინდის ნაწარმისა — 22 პროცენტი. ფეხსაცმლის გამოშვების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ტყავის წარმოების შემდგომი ზრდა: ქრომის ტყავსაქონლისა — 125 პროცენტით, იუხტისა — 53 პროცენტით, მაგარი ტყავსაქონლისა — 52 პროცენტით.

საერთო პროდუქციის მოცულობა სამინისტროს ხაზით 57 პროცენტით გადააჭარბებს 1955 წლის ფაქტიურად მიღწეულ დონეს.

იმ მიზნით, რომ წარმატებით განხორციელდეს წარმოების მოცულობა, რაც დასახულია ხუთწლიანი გეგმით, საწარმოების მიერ შემუშავებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ასორტიმენტის შემდგომი გაფართოება, ხარისხის გაუმჯობესება, ნაწარმის ახალი სახეების, მოდელებისა და ფასონების ათვისება. დასახულია ღონისძიებანი საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისათვის, მოძველებული მოწყობილობის უფრო სრულყოფილით შეცვლისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ფეხსაცმლის ფაბრიკებში უკვე 1957 წელს მოეწყობა რანტიანი ფეხსაცმლის ნაკადური ხაზები, ფაბრიკები აღიჭურვება უახლესი ტექნიკით.

ხუთწლედის წლებში დასახულია მოხდეს ფეხსაცმლის მოქმედი ფაბრიკების გადაკეთება მოდელურ ფეხსაცმლის გამოსაშვებად. მაგალითად, მიქოიანის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში განზრახულია გადაყვანილ იქნას კონვეიერზე ამოჭრის საამქრო, რაც 10 პროცენტით გაადიდებს მუშათა შრომის ნაყოფიერებას, მექანიზებულ იქნას წებოს დამზადება, რაც მოგვცემს ნედლეულის ეკონომიას და 350-400 პროცენტით გაადიდებს ქიმიური საამქროების მუშათა შრომის ნაყოფიერებას, მექანიზებული იქნება მზა ფეხსაცმლის ტრანსპორტირება, შემოღებულ იქნება ტრანსპორტიორები № 4 და № 6 საამქროების გადაჭიმვასა და შეკერვის უბნებს შორის.

წინდა-ტრიკოტაჟის ფაბრიკა „აზტრიკოტაჟში“, დაწყებული 1956 წლიდან, ხორციელდება სატრიკოტაჟე ტილოს ღებვა კუბოზოლებით, ინდიგოზოლებითა და კუბური საღებრებით სუსპენზიური წესით. აქვე აშენდება და ამუშავდება ორი სამკერვალო-კეთელური კონვეიერი.

ვოლოდარსკის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში განზრახულია დაინერგოს მრავალფასონური სექციური პროცესები, რაც გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

ფაბრიკა „აზმეხშუბაში“ ათვისებულ იქნება თახვის მსგავსად დამუშავებული ბეწვისა და განსაკუთრებულად დამუშავებული ბეწვის წარმოება.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით დასახულია რესპუბლიკაში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ახალი გაფართოებული მშენებლობა. მეექვსე ხუთწლედში მწყობრში ჩადგება ტყავის ახალი ქარხანა, რომლის სიმძლავრე ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბებს ტყავის ორი მოქმედი ქარხნის სიმძლავრეს. აქ გამოყენებულ იქნება ტექნიკის უახლესი მიღწევები, დაინერგება ტყავის დასამუშავებელი მრავალსექციიანი აპარატები, რაც შეამოკლებს წარმოების ციკლს, გააუმჯობესებს დამუშავების ხარისხს, მოგვცემს მასალების ეკონომიას და მკვეთრად აამაღლებს წარმოების კულტურას.

შუშის საოჯახო ჭურჭელზე რესპუბლიკის საჭიროების გათვალისწინებით განზრახულია აშენდეს ასეთი ჭურჭლის ქარხანა. მეექვსე ხუთწლედში აგრეთვე დასახულია აშენდეს ფარდისა და ტიულის ფაბრიკა, ტყავის გალანტერიის ფაბრიკა და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს ყველა შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ დასახული პროგრამა. აზერბაიჯანის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი — ვადამდე შეასრულონ 1956 წლის, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

**მ. ამირასლანოვი,**
აზერბაიჯანის სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

# ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა

პეკინი, 15 სექტემბერი. (საკდესი). [illegible] გაიხსნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა. ყრილობის სხდომათა დარბაზში შეიკრიბა ჩინეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასზე მეტი დელეგატი.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ყრილობაზე ჩამოსულ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს, როცა ისინი ყრილობის პრეზიდიუმში შემოვიდნენ. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგე[illegible] პუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთის, ინდონეზიის, ინდოეთის, იუგოსლავიის, ინგლისის, არგენტინის, ბელგიის, კანადის, მექსიკისა და ბევრი სხვა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა წევრები.

დელეგატები და სტუმრები აღტაცებით მიესალმნენ პრეზიდიუმში შემოსულ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს ამხანაგებს მაო ძე-დუნს, ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაის, ჯუ დეს, ჩენ იუნს, კან შენს, პინ [illegible]

ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობას გახსნილად აცხადებს. ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

მაო ძე-დუნის წინადადებით, ყრილობის დამსწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს რევოლუციის საქმისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას. მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა.

## ამხანაგ მაო ძე-დუნის სიტყვა

„ამხანაგებო!

გაიხსნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობა.

11 წლის განმავლობაში, რაც ჩვენი პარტიის VII სრულიად ჩინეთის ყრილობის შემდეგ გავიდა, ჩინეთსა და მთელ მსოფლიოში ბევრმა ამხანაგმა და მეგობარმა გმირულ ბრძოლასა და თავდადებულ მუშაობაში სიცოცხლე შესწირა კომუნიზმისა და კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს. ჩვენ მარად პატივს უნდა ვცემდეთ მათ ხსოვნას.

ჩვენი ყრილობის ამოცანა ის არის, რომ განვაზოგადოთ VII ყრილობის შემდეგ შეძენილი გამოცდილება, დავირაზმოთ მთელი პარტია, დავირაზმოთ მთელი ძალები ჩვენს ქვეყანაში და მის გარეთ, რომელთა დარაზმვაც კი შეიძლება, დიდი სოციალისტური ჩინეთის აშენებისათვის საბრძოლველად.

VII ყრილობის შემდეგ განვლილ 11 წელიწადში ჩვენ სავსებით დავამთავრეთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, აგრეთვე მივაღწიეთ სოციალისტური რევოლუციის გადამწყვეტ გამარჯვებას დიდ ქვეყანაში, რომელსაც ვრცელი ტერიტორია, უდიდესი მოსახლეობა და რთული პირობები აქვს. ორი რევოლუციის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ხაზი, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ატარებდა VII ყრილობიდან დღევანდლამდე, სწორია, რომ ჩვენი პარტია პოლიტიკურად მოწიფული, დიდი მარქსისტულ-ლენინური პარტიაა. ახლა ჩვენი პარტია უფრო დარაზმული და მტკიცეა, ვიდრე ოდესმე წინათ. იგი გახდა ბირთვი, რომელიც მთელ ჩვენს ხალხს რაზმავს სოციალისტური მშენებლობისათვის. ჩვენ დიდი წარმატებანი მოვიპოვეთ მუშაობის ყველა დარგში.

ჩვენ მუშაობა ვაწარმოეთ სწორად, მაგრამ ვუშვებდით ზოგიერთ შეცდომასაც. ამ ყრილობაზე საჭიროა განვაზოგადოთ ჩვენი მუშაობის — როგორც წარმატებების, ისე შეცდომების — ძირითადი გამოცდილება, რათა დადებითი გამოცდილება ვრცელდებოდეს, ხოლო შეცდომებიდან გაკვეთილები მივიღოთ.

საშინაო პირობების თვალსაზრისით ჩვენ გამარჯვებანი მოვიპოვეთ, ვეყრდნობით რა მუშათა და გლეხთა კავშირს, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს, და დავირაზმეთ რა მთელი ძალები, რომელთა დარაზმვაც შეიძლებოდა. დიდი შემოქმედებითი მუშაობის განხორციელება განსაკუთრებით რთულ და მძიმე ამოცანებს გვისახავს. თუმცა ჩვენ ახლა გვყავს პარტიის 10 მილიონზე მეტი წევრი, მაგრამ ისინი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ. ჩვენს უდიდეს სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ მუშაობაში აუცილებელია ვეყრდნობოდეთ ადამიანებს, რომელნიც პარტიის რიგებს გარეშე დგანან. თუ ჩვენ ვერ გამოვიჩენთ უნარს, რომ ვეყრდნობოდეთ მასებს და ვთანამშრომლობდეთ ადამიანებთან, რომელნიც პარტიის რიგებს გარეშე დგანან, კარგად ვერ შევასრულებთ ჩვენს სამუშაოს. განვაგრძობთ რა პარტიის დარაზმულობის განმტკიცებას, ამასთანავე კვლავაც უნდა განვამტკიცოთ ყველა ეროვნების დემოკრატიული კლასების, დემოკრატიული პარტიებისა და სახალხო ორგანიზაციების დარაზმვა, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ჩვენი ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტი, მთელი სერიოზულობით აღვკვეთოთ ყველა ის უარყოფითი მოვლენა მუშაობის ყოველ რგოლში, რომელნიც ზიანს აყენებენ პარტიის მჭიდროდ დარაზმვას ხალხთან.

თუ საერთაშორისო მასშტაბით ვილაპარაკებთ, ჩვენი გამარჯვებანი მოპოვებულია იმ მხარდაჭერის მეოხებით, რასაც გვიწევს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების დიდი თანაგრძნობის მეოხებით. ამჟამად საერთაშორისო ვითარების განვითარება სულ უფრო უწყობს ხელს მშენებლობის საქმეს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანას და სოციალიზმის ყველა ქვეყანას მშვიდობა ესაჭიროება. მთელი დედამიწის ხალხებისათვის აგრეთვე საჭიროა მშვიდობა.

მშვიდობა არ უნდათ და ომი სწყურიათ მხოლოდ მონოპოლისტური კაპიტალის ზოგიერთ იმ დაჯგუფებებს რამდენიმე იმპერიალისტურ ქვეყანაში, რომლებიც აგრესიის გზით გამდიდრდნენ. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და ხალხთა დაუცხრომელი ღონისძიებების მეოხებით საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა ნელდება. მტკიცე მშვიდობას რომ მივაღწიოთ მთელ მსოფლიოში, კვლავაც უნდა განვავითაროთ მეგობრული თანამშრომლობა სოციალიზმის ბანაკის ყველა მოძმე ქვეყანასთან და განვამტკიცოთ კავშირი ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან. ჩვენ ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე უნდა მივაღწიოთ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყანასთან, რომელსაც სურს მშვიდობით იცხოვროს ჩვენთან. ჩვენ აქტიურად უნდა დავუჭიროთ მხარი განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, აგრეთვე მშვიდობისათვის მოძრაობას მთელ მსოფლიოში და სამართლიანი საქმისათვის ბრძოლას ყველა ქვეყანაში.

ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ეგვიპტის მთავრობის სავსებით კანონიერ მოქმედებას, რომელმაც სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია განახორციელა, და გადაჭრით გამოვდივართ ეგვიპტის სუვერენიტეტის დარღვევისა და მის საქმეებში შეიარაღებული ჩარევის ყოველი ცდის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხრიკები იმპერიალისტებისა, რომლებიც დაძაბულობას ქმნიან საერთაშორისო ვითარებაში და ომისათვის ემზადებიან, სრული კრახით დამთავრდეს.

გამარჯვებანი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა რევოლუციასა და მშენებლობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებებია. მარქსისტულ-ლენინური თეორიის მჭიდროდ დაკავშირება ჩინეთის რევოლუციის პრაქტიკასთან — ასეთია იდეოლოგიური პრინციპი, რომელსაც განუხრელად იცავს ჩვენი პარტია. ბევრი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით პარტიული სტილის მოწესრიგებისათვის 1942 წლის მოძრაობის შემდეგ პერიოდში, ჩვენ დიდი მუშაობა გავწიეთ პარტიაში მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გასაძლიერებლად. ამჟამად პარტიული სტილის მოწესრიგებისათვის მოძრაობის წინა პერიოდთან შედარებით გადადგმულია დიდი ნაბიჯი წინ ჩვენს პარტიაში მარქსისტულ-ლენინური შეგნების დონის ამაღლების საქმეში. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ბევრ ჩვენს ამხანაგთა შორის ჯერ კიდევ არის მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო შეხედულებანი და მუშაობის სტილი, მაგალითად: იდეოლოგიაში — სუბიექტივიზმი, მუშაობაში — ბიუროკრატიზმი და ორგანიზაციულ დარგში — სექტანტობა. ყველა ეს შეხედულება და სტილი იწვევს მასებისაგან და პრაქტიკისაგან მოწყვეტას, დამღუპველ გავლენას ახდენს დარაზმვაზე პარტიის შიგნით და მის გარეთ, ხელს უშლის ჩვენი საქმის წინსვლას და ჩვენი ამხანაგების პროგრესს. საჭიროა პარტიაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების გზით ენერგიულად დავძლიოთ ეს სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენს რიგებში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დაუსახა ამოცანა — ისწავლეთ და კიდევ ისწავლეთ. საბჭოთა ამხანაგები, საბჭოთა ხალხი ლენინის მითითებისამებრ მოქმედებდნენ. მოკლე ვადაში მათ მოიპოვეს ბრწყინვალე წარმატებანი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამასწინანდელ XX ყრილობაზე აგრეთვე შემუშავებულ იქნა ბევრი სწორი პოლიტიკური დანასახი, დაიგმო ნაკლოვანებანი პარტიაში. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მათი მუშაობა შემდგომ განსაკუთრებით დიდად განვითარდება.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ძირითადად ისეთივე ამოცანები, როგორიც იდგა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის დაწყებით პერიოდში. ჩვენ მოგველის განსაკუთრებით ძნელი მუშაობა, რათა ჩამორჩენილი აგრარული ჩინეთი მოწინავე ინდუსტრიულ ჩინეთად გადავაქციოთ, ჩვენი გამოცდილება კი მეტად არასაკმაოა. ამიტომ უნდა შევძლოთ სწავლა. უნდა გვქონდეს უნარი ვისწავლოთ წინ წამავალი საბჭოთა კავშირისაგან, უნდა შევძლოთ ვისწავლოთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისაგან, უნდა შევძლოთ ვისწავლოთ ყველა მოძმე პარტიისაგან, უნდა შევძლოთ ვისწავლოთ ყველა ქვეყნის ხალხებისაგან. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქედმაღლური, დიდმპყრობელური წიდრეკილება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიყოყოჩოთ რევოლუციის გამარჯვებისა და მშენებლობაში ზოგიერთი წარმატების შედეგად. თვითეულ სახელმწიფოს — დიდია იგი თუ პატარა — აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. და კიდევაც რომ უდიდესი წარმატებებით დაგვირგვინებულიყო ჩვენი მუშაობა, მაინც არავითარი საფუძველი არა გვაქვს ყოყოჩობისა და თვითგანდიდებისათვის. თავმდაბლობა ეხმარება პროგრესს, ხოლო თავს გასვლა იწვევს ჩამორჩენას — საჭიროა ეს ჭეშმარიტება მუდამ გვახსოვდეს.

ამხანაგებო მე, ისევე როგორც თქვენ, დარწმუნებული ვარ, რომ განთავისუფლებული ჩინელი ხალხის ძალები უსაზღვრო და დაუშრეტელია. გარდა ამისა, ჩვენს მხარეზეა დიდი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის და სხვა მოძმე ქვეყნების დახმარება, ყველა მოძმე პარტიისა და ყველა იმათი მხარდაჭერა, რომლებიც თანაგვიგრძნობენ მსოფლიოში, ჩვენ სულაც არ ვგრძნობთ თავს განმარტოებულად. ამრიგად, ჩვენ უთუოდ შევძლებთ ჩვენი ქვეყანა თანდათან გადავაქციოთ დიდ სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ახლანდელი ყრილობა უდიდეს მამობილიზებელ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის მშენებლობის განვითარებაში.

დღეს აქ გვესწრებიან 50 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, შრომისა და სახალხო-რევოლუციური პარტიების წარმომადგენლები. ყველა ისინი მარქსისტ-ლენინელები არიან, მათ ჩვენთან საერთო ენა აქვთ. ისინი ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, გამოიარეს ძალიან შორი გზა, და ესწრებიან ჩვენი პარტიის ახლანდელ ყრილობას, გამსჭვალულნი მეგობრობის დიადი გრძნობით. ეს ჩვენთვის დიდი მხარდაჭერა და ამაფრთოვანებელი ძალაა. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მათ.

დღეს აქ არიან აგრეთვე ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული პარტიებისა და უპარტიო დემოკრატიულ მოღვაწეთა წარმომადგენლები. ისინი ჩვენი ახლობელი მეგობრები არიან, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ. სწორედ ისინი გვიწევდნენ დიდ დახმარებას. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მათ".

ამხანაგ მაო ძე-დუნის სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

* * *

ამხანაგ მაო ძე-დუნის სიტყვის შემდეგ ყრილობამ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის წინადადებით ერთხმად დაამტკიცა ყრილობის პრეზიდიუმი 63 კაცის შემადგენლობით, ყრილობის სამდივნოს და სამანდატო კომისიის შემადგენლობა. შემდეგ ერთსულოვნად მიღებულ იქნა ყრილობის მუშაობის დღის წესრიგი:

1. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში; 2. მოხსენება პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ; 3. მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე წინადადებათა შესახებ; 4. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში — გააკეთა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ლიუ შაო ციმ.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ო. გროტევოლის განცხადება სუეცის არხის საკითხზე

ბერლინი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყება გვაცნობებს, გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტევოლმა საგარეო საქმეთა მინისტრ ლ. ბოლცის თანდასწრებით მიიღო ეგვიპტელი ჟურნალისტების დელეგაცია. მათთან საუბარში ო. გროტევოლმა, კერძოდ, გააკეთა განცხადება სუეცის არხის საკითხზე.

ო. გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილი სერიოზული მდგომარეობა წარმოიშვა არა ეგვიპტის მთავრობის მიზეზით, რომელიც იცავს ეგვიპტელი ხალხის სუვერენიტეტსა და კანონიერ უფლებებს, არამედ დასავლეთის იმპერიალისტური ძალების პროვოკაციული მოქმედების შედეგად, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ კოლონიალიზმი ეროვნულ ღირსებასთან შეუთავსებელია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა ო. გროტევოლმა, გადაჭრით მოითხოვს მშვიდობიან მოწესრიგებას და ეგვიპტის სუვერენიტეტის პატივისცემას.

ო. გროტევოლმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება ეგვიპტის მთავრობის წინადადებას განიხილონ საერთაშორისო კონფერენციაზე იმ პირობით, რომ სავსებით დაცულ იქნება ეგვიპტის სუვერენიტეტი, ყველა საკითხი, რომლებიც აინტერესებს არხით მოსარგებლე ქვეყნებს, აგრეთვე არხში ნაოსნობის თავისუფლების გარანტიათა საკითხები.

პრემიერ-მინისტრმა დაგმო პოზიცია დასავლეთ გერმანიის მთავრობისა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად დაუფარავი ფორმით მხარს უჭერს კოლონიალიზმს.

დასასრულ ო. გროტევოლმა განუცხადა ეგვიპტელ ჟურნალისტებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თანაუგრძნობს ეგვიპტესა და არაბთა ყველა ქვეყანას თავიანთი ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად ბრძოლაში, მათს საშინაო საქმეებში უცხოელთა ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში.




## ტაქსოდერმიული მუზეუმი



პლეხანოვის პროსპექტზე, თბილისის კინოსტუდიის პირდაპირ მდებარე შენობის სარდაფში გამვლელის ყურადღებას იპყრობს მხატვრულად ლამაზად შესრულებული მაკეტი „მელა და ყურძენი". აქ მოთავსებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ტაქსოდერმიული მუზეუმი, რომელიც სულ რამდენიმე თვეა არსებობს. მუზეუმში ფიტულების სახით თავმოყრილია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ცხოველთა მთელი სამყაროს წარმომადგენლები. აგერ დიდი დათვი, რომლის ფიტული ისე კარგად არის შესრულებული, რომ უნებურად შეკრთებით. ცოტა მოშორებით ირმების კუთხეა თავისი ბუნებრივი გარემოთი. ნაჩვენებია თვითეული ჯიშის ცხოველის საკვები, გარემო და სხვ.

მნახველები დიდხანს ჩერდებიან ციყვის ცხოვრების ამსახველი მაკეტის წინ, სადაც მხატვრულად შესანიშნავად არის გამოსახული მისი საზამთრო ბუდე. შემდეგი სტენდი დათმობილი აქვს საქართველოში გავრცელებულ გარეულ ფრინველებს. ესენია ხოხბები, კაკბები, კავკასიის როჭო, დურაჯი, გნოლი და სხვ. აქვეა ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსის „არწივის" მიხედვით გაკეთებული მაკეტი დაჭრილი არწივით და მეომარი ყვავ-ყორნებით.

მუზეუმში წარმოდგენილ ცხოველთა სამყაროს ნახვას ბავშვებისათვის საინტერესოს ხდის ის გარემოება, რომ მათს საჩვენებლად ძირითადად გამოყენებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული იგავ-არაკები, მოთხრობები, ლექსები. ამ მხრივ შესანიშნავია კრილოვის იგავ-არაკების მიხედვით შექმნილი მაკეტები „მაიმუნი და სათვალე", „მგელი და წერო", „მაიმუნი და სარკე", „დათვის წვეულება". ეს უკანასკნელი, რომელსაც კარგა დიდი ფართობი უჭირავს, მუზეუმის მშვენებას წარმოადგენს. აქ არის ექსპონირებული საქართველოში გავრცელებული ყველა მტაცებელი ცხოველი — დათვი, მგელი, ტურა, მელია, ფოცხვერი, გარეული კატა, დედოფალა და სხვ.

მუზეუმში გამოფენილი ეს შესანიშნავი ექსპონატები შექმნილი და მხატვრულად დამუშავებულია მუზეუმის დამაარსებლების ბუნებისმეტყველი ძმების გიორგი და შოთა ჩლაიძეების მიერ, რომლებიც წლების განმავლობაში აგრო[illegible]ვებდნენ და ქმნიდნენ მათ მიერვე დახოცილი ცხოველების ფიტულებს.

ყველა ეს მასალა დიდ დახმარებას გაუწევს სკოლებს ზოოლოგიის კურსის უკეთ სწავლების საქმეში. აქ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ კარგად შესრულებული ექსპონატებით თვალსაჩინოდ გაეცნონ საქართველოს ცხოველთა სამყაროს, შეისწავლონ თვითეული ცხოველის არა მარტო მორფოლოგია, არამედ აგრეთვე ეკოლოგიური თავისებურებანი და საცხოვრებელი გარემო.

მუზეუმთან არსებობს ტაქსოდერმიული წარმოება, სადაც ამზადებენ ცხოველების ფიტულების ჩონჩხებს, დასპირტულ პრეპარატებს, გალიებს, აკვარიუმებს და სხვ. სკოლების ზოოლოგიური კაბინეტებისა და ცოცხალი კუთხეებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ტაქსოდერმიული მუზეუმის მუშაობას ხელს უშლის სათანადო ბინის უქონლობა.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო შ. გოქაძისა.

## სასწავლო კინოსურათები

დიდია კინოსურათების როლი მოსწავლეთა მიერ სასწავლო დისციპლინების ათვისების საქმეში. კინოსურათების საშუალებით მოსწავლე ეცნობა ჩვენი სამშობლოს დიად მშენებლობებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ცხოველთა სამყაროს და სხვ. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად დიდდება იმ სკოლების რიცხვი, სადაც იყენებენ კინოფილმების ჩვენებას.

წელს ამ მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში გახსნილია 25 საიაიონთაშორისო ბაზა — თბილისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, გორში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში. ეს ბაზები მომსახურებას უწევენ 326 საშუალო სკოლას.

სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გაფართოებასთან დაკავშირებით შექმნილია მთელი რიგი სასწავლო კინოფილმები თითქმის ყველა დისციპლინისათვის. სკოლებში უჩვენებენ ახალ სასწავლო კინოსურათებს „როგორ შენდება სახლი", „ცემენტის ქარხანა", „ავტომობილი", „როგორ ბეჭდავენ წიგნს", „რვეულის ისტორია", „მეფრინველეობა" და სხვ.

თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" გამოუშვა მოსწავლეებისათვის სასწავლო ფილმები „სკოლის საცდელ ნაკვეთზე" და „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება", რომლებსაც, გარდა სკოლებისა, უჩვენებენ ფართო ეკრანებზეც.

სკოლებში კინოსურათების დემონსტრაციას აწარმოებენ უმეტესად მასწავლებლები ან მოსწავლეები. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მასწავლებლებს საშუალება აქვთ მიიღონ კინოსურათების დემონსტრაციის პრაქტიკა.

## რამდენიმე სტრიქონით

⊙ თბილისის მასწავლებლის სახლში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელიც მიეძღვნა სასწავლო წლის დაწყებას. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა.

⊙ კურორტ წყნეთში მუშათა დასასვენებელ სახლებს აშენებენ ქარხანა „დაზგა" და „ცენტროლიტი".

⊙ საბავშვო ბაღის მშენებლობას საბჭოს ქუჩაზე იწყებენ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა და ქარხანა „დაზგა". ბაღი გათვალისწინებულია 125 ბავშვისათვის.

### ნეკროლოგი

## დავით ივანეს-ძე გუნიავა

1956 წლის 11 სექტემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა ტყიბულის გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი, ინჟინერ-გეოლოგი დავით ივანეს-ძე გუნიავა. დ. ი. გუნიავა დაიბადა 1907 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

1922 წელს ამხ. გუნიავა შევიდა კომკავშირის რიგებში, ხოლო 1930 წლიდან სკკპ წევრი იყო.

ინსტიტუტის დამთავრების დღიდან დ. გუნიავა ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებს და თავდადებულად მუშაობდა ჩვენი სამშობლოს წიაღისეულ სიმდიდრეთა აღმოსაჩენად და შესასწავლად.

სამამულო ომის პერიოდში ამხ. გუნიავა ხელმძღვანელობდა კარობის სამთო საწარმოს, პირნათლად ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებას ნედლეულის მოპოვების საქმეში. უკანასკნელად ის მუშაობდა ტყიბულის გეოლოგიური ექსპედიციის უფროსად. ეს ექსპედიცია აწარმოებს ახლადაღმოჩენილ ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს შესწავლას და მისი მარაგის დადგენას.

ნაყოფიერი მუშაობისათვის დ. გუნიავა რამდენჯერმე დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ენერგიული, ნიჭიერი სპეციალისტის, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის დ. გუნიავას ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## XII საჭადრაკო ოლიმპიადა

14 სექტემბერს საჭადრაკო ოლიმპიადის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების დღე იყო. სსრ კავშირ-უნგრეთის მატჩიდან წინა დღეს გადადებული ბოტვინიკ-საბოს და ბ[illegible]ლი-ტაიმანოვის პარტიები დამთავრდა ყაიმით.

ამრიგად, უნგრეთ-სსრ კავშირის მეოთხე ტურის მატჩი დამთავრდა უნგრელ მოჭადრაკეთა გამარჯვებით ანგარიშით 2,5:1,5. ამ წარმატების მეოხებით უნგრეთის გუნდი ოლიმპიადაში პირველი ადგილის ერთ-ერთი უახლოესი პრეტენდენტი გახდა.

ინგლის-ბულგარეთის მატჩში ინგლისელი მილნერ-ბერი დანებდა ტრინგოვს. ინგლის-ბულგარეთის მატჩის საერთო ანგარიშია 2,5:1,5.

მატანოვიჩ-ვალტერის (შვეიცარია) შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ენდშპილში ყაიმით დამთავრდა. იუგოსლავია-შვეიცარიის მატჩის შედეგია 3:1 იუგოსლავ მოჭადრაკეთა სასარგებლოდ. ასეთივე ანგარიშით ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო რუმინეთის მოჭადრაკეებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დანიის მატჩში გაიმარჯვეს გერმანელმა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 2,5:1,5.

ისრაელ-არგენტინის მატჩის მეოთხე ტურში გადადებული პარტიები გადატანილია მეორე დღისათვის.

ოლიმპიადის მთავარ ფინალურ ტურნირში ლიდერი გუნდების მდგომარეობა შემდეგია: საბჭოთა კავშირის გუნდს აქვს 11 ქულა, იუგოსლავიის მოჭადრაკეებს — 10,5 ქულა, უნგრეთის გუნდმა მოაგროვა 10 ქულა და აქვს ერთი დაუმთავრებელი პარტია. (საკდესი).

## სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრები

15 სექტემბერს მოსკოვში და ჰანოვერში გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა პირველი და მეორე ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები.

ჰანოვერში თამაშობდნენ ფეხბურთელთა პირველი ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ფეხბურთელთა მეორე ნაკრები გუნდები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

„კინოპროკატის" საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

ნახეთ

კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ახალი მხატვრული ფერადი ფილმი

„ჩრდილი გზაზე"

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის" ნაწარმოები



სცენარი კ. ლორთქიფანიძისა და ე. ფეიგინისა, რეჟისორ-დამდგმელი დ. რონდელი, ოპერატორები დ. სუხოვი და ა. ფილიპაშვილი, რეჟისორი ა. ხინთიბიძე, მხატვრები ს. ვაწაძე, ზ. მეძმარიაშვილი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხმის ოპერატორი დ. ლომიძე, სიმღერების ტექსტი კ. ლორთქიფანიძისა, კომბინირებული გადაღება მხატვარ ს. ვაშაძისა, ოპერატორი ა. ფარეზიშვილი, სურათის დირექტორი გ. სვანელი.

როლებში: ლ. ელიავა, ზ. ლაფერაძე, ე. მაღალაშვილი, ვ. ნინუა, ნ. ცინცაძე, ბ. ზაქარიაძე, გ. აბაშიძე, გ. ხინიკაძე, ვ. კინწურაშვილი, თ. ბაქრაძე, ი. კოქრაშვილი და სხვები.

### დღეს

### თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ტარიელ გოლუა (დილას), ლერწამი ქარში (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ზვავი (დილას), რას იტყვის ხალხი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ვაი ჭკუისაგან (დილას), ნორა (საღამოს), **რკინიგზელის სახლი** (ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები) — ლიუბოვ იაროვაია (დილას), გრიბოედოვი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უცნაური დანაკარგი (11 ს. და 5 ს.), **ფილარმონია** — საესტრადო ორკესტრის კონცერტი ბ. რენსკის ხელმძღვანელობით (9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, თბილისი, ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ბატონო 420, **ოფიცერთა სახლი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — იგნოტასი შინ დაბრუნდა, **დიდუბე** — ქუჩის სერენადა (საზამთრო) ქალიშვილებმა დათესეს სელი (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ბედნიერებასთან შეხვედრა, **კოლხიდა** (საზამთრო) — გიორგი სააკაძე (I სერია), **კოლხიდა** (საზაფხულო) — გიორგი სააკაძე (II სერია), **კომკავშირელი** — დაკარგული სამოთხე, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პატიოსნებისათვის, **კოლმეურნე** — ეთერის სიმღერა.

დედა ოლია, მეუღლე მაყვალა, შვილი კობა, და კლარა, სიძე ვ. თავაძე იუწყებიან

**ლერი იაკობის-ძე ხარბედიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-IX, 8 ს. გამოსვენება 18-IX, 6 ს. შაუმიანის ქ. № 63-ა (სამხედრო სახლი).

შვილები დანიელ, იროდიონ, გერონტი, ოლია, ალათი, ეფროსინე, შურა, თამარ, სიძეები პ. გურგენიძე, გ. დარჩია, ს. გურგენიძე, ს. ელბაქიძე, რძლები სონია, ოლია, ქსენია, მარო და შვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ლისა რევაზის ასულ ურუშაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX სოფ. ჩანჩეთში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ვერა, და ძიძუ, სიძეები თ. გეგელია, ს. სოსელია ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

**ვლადიმერ ივლიანეს-ძე კახიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-IX, 8 ს. გამოსვენება 18-IX, 5 ს. ანაგის ქ. № 18.

დედა ციცი, შვილი გია, და თამარ საბახტარიშვილები, სიძე გ. ნარმანია იუწყებიან

**ეთერ ლავრენტის ასულ საბახტარიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-IX ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 4.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან

**ელისაბედ ივანეს ასულ სხირტლაძის**

გარდაცვალებას.

დედა ქეთო აბაშიძე, მამა გიორგი ბახტაძე, თამარ, ოქრო ბურძგლა, შუშანა, თამარ, გიორგი, იოსებ, გრიგოლ აბაშიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ლალი გიორგის ასულ ბახტაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17-IX, 8 ს. გამოსვენება 18-IX, 5 ს. ლენინის ქ. № 8.

უე 07113

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14